ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

10 — 11 დეკემბერი, 2011 №293 (5673) ფასი: 30 თეთრი

## პატიმრებს ოჯახის წევრის დაკრძალვაზე არ უშვებენ

გვ.7

როგორ ირღვევა კანონი და რა პრობლემებით ვხვდებით ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს



# ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილმა 8 თვის პენსიები მოტეხა“

გვ.3



## ერთად ავისრულოთ ქართული ოცნება!

კვირას, 11 დეკემბერს, 15 საათზე თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ ფუძნდება. „თბილისი ივენთ ჰოლში“, ასევე ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდება მხარდამჭერთა რეგისტრაცია. ამას გარდა, „თბილისი ივენთ ჰოლში“ დამონტაჟდება დიდი სატელევიზიო ეკრანი, რათა დარბაზში ადგილების სიმცირის გამო გარეთ დარჩენილ მხარდამჭერებს მიეცეთ ღონისძიების ნახვის საშუალება.

„ქართული ოცნება“ იქმნება, როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ძალა ძირეული ცვლილებების განსახორციელებლად, რათა ჩვენს ქვეყანაში დამყარდეს სამართალი, ადამიანებს მიეცეთ იმედი და რწმენა. ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ავისრულოთ ქართული ოცნება!

## ლეიბორისტები მესამე ძალა ვართ!

გვ.2





## სოსო ცისკარიშვილი: „პუტინს შიდა პრობლემებს საქართველოსთან ომი ვერ მოუგვარებს“

გვ.4



## კახა კუკავა: „რუსეთი მზადაა აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე დაგველაპარაკოს“

გვ.5



## გმირებს დრო ვერაფერს აკლებს

რა საერთო აქვთ საქართველოსთვის დაღუპულ ბიჭებს

გვ.6



## ვინ აამხედრა ხალხი მეუფე ალავერდელის წინააღმდეგ

გვ.3

ISSN 1987-9385

## „სახალხო კრება“ აშშ-ის ელჩის სახელზე მიმართვას ავრცელებს

გვ.5



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ივანიშვილის პოპულარობა სააკაშვილის ზიზღზეა აგებული

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გიორგაძე ივანიშვილისა და მისი გუნდის წარმატებას მხოლოდ კარგად დაგეგმილი, პოზიტიური და სტრუქტურირებული ნაბიჯებით ხედავს. გიორგაძე აცხადებს, რომ ივანიშვილის ეს მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან ავანსად გაცემული მხარდაჭერაა და მან ეს სწორად უნდა გამოიყენოს.**

არის თუ არა ქვეყანაში პროქართული ოპოზიციური ძალა და დასჭირდება თუ არა ივანიშვილს სააკაშვილის ხელისუფლების კლანებთან მოლაპარაკება? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის" ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.

***– ბატონო მამუკა, კეთდება შეფასებები, რომ სააკაშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ დაშვებული და დაუშვებელი მეთოდებით იბრძვის. თქვენი შეფასებით, რეალურად რა სახის ბრძოლა წამოიწყო პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა?***

– ხელისუფლება წესიერად არასოდეს იბრძოდა და არ ცდილობდა, ცივილიზებული საზოგადოებისთვის დაშვებული მეთოდებით წარემართა თავისი პოლიტიკური საქმიანობა. ხელისუფლებაში ყოფნის მანძილზე ის მუდამ იქცეოდა უკანონოდ, უზნეოდ, კადრულობდა ყველაფერს. ბუნებრივია, ასე ექცეოდა სხვასაც და ასე ექცევა ივანიშვილსაც. აქ ახალი არაფერია და ახალი სახით ხელისუფლება არ წარმდგარა საზოგადოების წინაშე. რაც იყო და რაც იცის, იმ მეთოდით იბრძვის.

***– კი მაგრამ, ამ მეთოდმა გაამართლა შედარებით სუსტი ოპონენტების შემთხვევაში. ივანიშვილი ხომ სხვა წონის პოლიტიკური ოპონენტია, სააკაშვილისთვის ისიც ხელწამოსაკრავი ფიგურაა?***

– ხელწამოსაკრაობის მომენტი აქ ნაკლებია. დაგეთანხმებით, რომ ეს მეთოდიკა ამართლებს და ყოველთვის გაამართლებს, რაოდენ ხელწამოსაკრავი ფიგურაც არ უნდა იყოს მოწინააღმდეგე, თუკი არ იქნება ამ მეთოდიკის წინააღმდეგ სწორი ბრძოლა; თუ არ იქნება ის მექანიზმები ამუშავებული, რომელიც ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ ამ მექანიკას წინ აღუდგება. ამიტომ აქ იმდენად პიროვნების წონას არა აქვს მნიშვნელობა, რამდენიც სწორი ბრძოლის მექანიზმების ამუშავებას.

***– ბრძოლის სწორი ტაქტიკა აირჩია ივანიშვილის მხარემ?***

– სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ტაქტიკა არ ჩანს. ამიტომ ამის თქმა გამიჭირდება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, თუ არ იქნება გადადგმული ნაბიჯები იმისთვის, რომ შეიქმნას სისტემა, რომელიც დაუპირისპირდება დღეს არსებულ რეჟიმს, მაშინ მდგომარეობის გაუმჯობესება ნაკლებად სავარაუდოა. ზოგადად რომ ვთქვათ, ჩვენთან რა ხდება ამ 20 წლის განმავლობაში. პრაქტიკულად, ვებრძვით ამა თუ იმ ხელისუფლების წარმომადგენელს. ეს ბრძოლა გადადის მისი პიროვნების წინააღმდეგ. გამოყენებულია, ასე ვთქვათ, არასაზოგადოებრივი პოზიტივი აღმშენებლობისკენ მიმართული, არამედ ამ ხელისუფლების მიუღებლობის ელემენტი. როგორც ადრე, დღესაც ოპოზიციის მხარდამჭერებს წარმოადგენს არა უშუალოდ ის წრე ადამიანებისა, რომელსაც მოსწონს ესა თუ ის ოპოზიციური ძალა, არამედ წარმოადგენს ოპოზიციის მხარდამჭერებს, რომელიც ვერ იტანს სააკაშვილს. თუ არ მოხდება ამ მუხტის პოზიტივზე გადმოტანა, თუ არ მოხდება მომხრე საზოგადოების ბაზაზე სტრუქტურირებული გამართული ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლამდე ექნება კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა განავითაროს ქვეყანა, თითქმის ყველა ძირითადი მიმართულებით, მაშინ ელემენტარულად ბრძოლა გადადის ერთი ადამიანის ხელისუფლებიდან განდევნის რეჟიმში. ის კაცი შეიძლება გავაგდოთ კიდეც, მაგრამ რჩება სისტემა. მაშინ ამ საქმეში ოპონენტებს დასჭირდებათ ან გარე ძალებთან გარიგება, ან შიდა კლანებთან მოლაპარაკება. ეს კი, საბოლოო ჯამში, იმას ნიშნავს, რომ ახალმოსული პიროვნება იღებს ძალიან დიდ ვალდებულებებს როგორც გარე სუბიექტებთან, ასევე რეჟიმის შემადგენელ შიდა კლანებთან, რაც, საბოლოო ჯამში, აიძულებს მას, ისეთ ნაბიჯებზე წავიდეს, რომელიც საზოგადოებას არ ესიამოვნება და სულ ცოტა ხანში თვითონვე აღმოჩნდება საზოგადოებრივი გაკიცხვის ობიექტი. პოლიტიკას ისტორიული და პოლიტიკური კანონზომიერებები ახასიათებს და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს. დღეს თითქოს ყველა სააკაშვილს ვებრძვით, მაგრამ გვავიწყდება, რომ სააკაშვილი კი არ არის საბრძოლო ობიექტი, არამედ საბრძოლო ობიექტია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. ამას კი გუნდი სჭირდება. თუ ეს გუნდი მანამდე არ შეირჩა, სანამ ხელისუფლებაში მოსვლა მოხდება, შემდეგ აღმოჩნდება, რომ ამ პიროვნებამ მთელი თავისი ენერგია უნდა მიმართოს არა ქვეყნის აღმშენებლობისაკენ, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებისაკენ.

***– ასეთი გუნდი რომ იყოს, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობაზე ზრუნავს, მაშინ პროქართული ძალა უნდა არსებობდეს ქვეყანაში, ხომ ასეა?***

– რა თქმა უნდა.

***– პროქართული ძალა რომ არ იკვეთება და მსგავსი ძალის გაძლიერება არ ხდება?***

– ე.ი. ჩვენ ამ მიმართულებით არ ვმუშაობთ. ჩვენი ენერგია უფრო მეტად გადადის იქითკენ, რომ დავარწმუნოთ ამერიკა, რუსეთი თუ ევროკავშირი, რომ სააკაშვილი მათ მოგვაცილონ. დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მიმართულება ეს არის. იგივე ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილი ვერ გაბედავს არჩევნების გაყალბებას, იმიტომ რომ მას ეტყვიან. მაგრამ ჩვენ არ ვაკვირდებით, ვინ ეტყვის ამას და ის, ვინც ეტყვის, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, ქართველმა ხალხმა, მის წინაშე რაღაც ვალდებულება უნდა ავიღოთ? ავტომატურად გვახსენდება, როგორ აუწია ყური სააკაშვილს პუტინმა ღია პრესკონფერენციაზე და უთხრა, შენ ვალდებულებები რომ გქონდა აღებული, რატომ არ ასრულებო. ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა ვალდებულებებზეა საუბარი. რა ვალდებულებებით მოვიდა სააკაშვილი ხელისუფლებაში და რა ვალდებულებები აიღო რუსეთისა და უშუალოდ პუტინის მიმართ?!

***– ეს ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი? ფაქტია, სერიოზული ეკონომიკური ბერკეტები ჩაიგდო რუსეთმა ხელში.***

– ეს რომ გამოიკვეთა 8 წლის შემდეგ, უკვე ძალიან გვიან იყო. სახალხო პარტია თავიდანვე ამბობდა, რომ არ შეიძლება ხელისუფლებაში ვალდებულებებით მოსვლა. ხელისუფლებას მხოლოდ ქართველი ხალხის წინაშე უნდა ჰქონდეს ვალდებულება და არა რუსეთის ან ამერიკის წინაშე და ეს ვალდებულებები წინასწარვე უნდა იყოს გაცხადებული. ეს არ არის დასამალი და ხალხი არ უნდა მოვატყუოთ. იმიტომ არ საუბრობენ ამ თემაზე, რომ თვითონვე ეშინიათ ქართველი ხალხის რისხვისა. ერთი სერიოზული კონფერენცია არ ჩატარებულა თემაზე: „სად გადის რუსეთ-საქართველოს სტრატეგიული ინტერესების შეხების წერტილები". ჩვენ რა გვგონია, რომ რუსეთს მოვატყუებთ, თუ ამ თემაზე დღეს არ ვიტყვით?!

***– ივანიშვილს გაუჭირდება, შექმნას პროქართული ძალა, რადგან გვერდით ალასანია და რესპუბლიკელები, როგორც მათ უწოდებენ, ამერიკიდან მართული ძალები დაიყენა?***

– რატომ უწოდებენ ასე, სიმართლე რომ გითხრათ, ამის არანაირი არგუმენტი არ მაქვს, მით უმეტეს, როცა საქმე რესპუბლიკურ პარტიას ეხება. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, ვინ იქნება ივანიშვილთან, იმიტომ რომ ძირითადი პასუხისმგებლობა თავად ივანიშვილზეა. თავის დამოკიდებულებას ივანიშვილის მიმართ არ განსაზღვრავს იმით, თუ ვის ჩამოართმევს ხელს ივანიშვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, თვითონ ივანიშვილს არ ჩამოუყალიბებია მთელი რიგი პრინციპული პოზიციები იმ მთავარ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებმაც უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი და რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ განვსაზღვროთ, ესა თუ ის პოლიტიკური ძალა რა ფუნდამენტურ ღირებულებებს ეფუძნება და რა ორიენტაციისაა. ამიტომ ამ ძალის შექმნისკენ უნდა გადაიდგას მთავარი ნაბიჯი. ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, ვინ აღმოჩნდება მის გუნდში. არამედ, ივანიშვილმა უნდა გამოკვეთოს, რა უნდა მას. ამ ღირებულებების მატარებელი ვინ არის, ის ძალები უნდა იყვნენ მის გვერდით. როცა ივანიშვილის პოპულარობაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს პოპულარობა სააკაშვილის ზიზღზეა აგებული. ამიტომ საზოგადოების მხრიდან ივანიშვილზე გაცემული მხარდაჭერა – ეს არის ავანსად გაცემული მხარდაჭერა. ივანიშვილმა ამ მხარდაჭერას სტრუქტურირება უნდა გაუკეთოს და პოზიტივში, პოზიტიურ ძალაში გადაიყვანოს, თუ შედეგის მიღწევა უნდა.



**ხელისუფლებას მხოლოდ ქართველი ხალხის წინაშე უნდა ჰქონდეს ვალდებულება და არა რუსეთის ან ამერიკის წინაშე და ეს ვალდებულებები წინასწარვე უნდა იყოს გაცხადებული**

# ლეიბორისტები მესამე ძალა ვართ!

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურ ფლანგზე გამოჩენას ამერიკულ პროექტს უწოდებს, დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის ჩანაცვლების გეგმას ამერიკელები განახორციელებენ, ანუ საქართველოს ხელისუფლების ცვლა მოხდება არა ქართველი ხალხის სურვილისა და ინტერესებისამებრ, არამედ ქვეყნის გარედან მართული ძალების მიერ.



გიორგი გუგავა

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ საქართველოში არსებობს მესამე ძალა ლეიბორისტული პარტიის სახით და სიცრუეა იმის ძახილი, თითქოს პოლიტიკურ ფლანგზე ორი პოლუსი იკვეთება – სახელისუფლებო და ივანიშვილის მომხრეების.

ლეიბორისტული პარტია უნდობლობას უცხადებს „აირაისა" და „სოციალური კვლევისა და ანალიზის" ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ შედეგებს და მას მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის მიერ დაკვეთილად მიიჩნევს.

– ამერიკელების დირიჟორობით სააკაშვილისა და ივანიშვილის მიერ დაკვეთილ-დაფინანსებული ერთნაირი ყალბი ე.წ. გამოკითხვები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ნათქვამის ჭეშმარიტებას, რომ საქართველოს წინააღმდეგ გარიგება შემდგარია. გარიგების შესაბამისად, უცხოეთიდან მართული ანტიეროვნული მიშისტური და ბიძინისტური ძალები ხალხის გაბითურებით არჩევნების შემდგომ აპირებენ ერთიანი მთავრობის ჩამოყალიბებას, სადაც სააკაშვილი – პრემიერ-მინისტრი, ხოლო ბიძინა ივანიშვილი პარლამენტის თავმჯდომარე იქნება ან, პირიქით, რათა ქვეყნის განადგურება-დაშლის კურსი ერთობლივად გააგრძელონ, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ.

აღსანიშნავია, რომ შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელებს შესაძლებლად მიაჩნიათ იმ გარიგების ჩაშლა, რომელიც, მათივე მტკიცებით, ამერიკელი პოლიტიკოსებისა და სააკაშვილის ლობისტების მიერ დაიგეგმა.

– ამ ანტიეროვნული შეთქმულების ჩაშლა შესაძლებელია მხოლოდ დაუმორჩილებლობით, მიტინგებითა და აქციებით, რომელსაც ლეიბორისტული პარტია გეგმავს და ახორციელებს, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლეიბორისტების მიერ დაგეგმილ და დაპიარებულ აქციებზე საკმაო სიხალვათეა და მოსახლეობის ძალიან მცირე ჯგუფი თუ გამოდის იმ პოზიციის მხარდასაჭერად, რომელსაც პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი თანაგუნდელებთან ერთად აფიქსირებს.

რამ განაპირობა ლეიბორისტებისადმი მოსახლეობის ნაკლები მხარდაჭერა, ეს ალბათ თავად ლეიბორისტების ამომრჩეველმა უკეთ იცის, თუმცა აშკარაა, რომ მოსახლეობა ცვლილებების მოლოდინშია. სააკაშვილის ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება სულ უფრი იზრდება და ამომრჩეველი, როგორც ჩანს, ივანიშვილის ნაბიჯებს ელოდება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თეა მარხვაიძე

**ეკლესიის წინააღმდეგ რომ სერიოზული ბრძოლა მიდის, ეს ახალი ამბავი არ არის. ძირითადი სამიზნე საქართველოს პატრიარქია. მავანსა და მავანს ვერ მოუნელებია ის მაღალი რეიტინგი, რომელიც ეკლესიასა და საქართველოს პატრიარქს აქვს.**

# ვინ აამხედრა ხალხი მეუფე ალავერდელის წინააღმდეგ



ამ ეტაპზე მთავარი დარტყმის ქვეშ მეუფე ალავერდელი აღმოჩნდა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია ახალი ძალით განახლდა. მეუფეს სოფელ ალავერდის მოსახლეობა უპირისპირდება, სადაც, როგორც სასულიერო პირები ამბობენ, იეღოველები სახლობენ მრავლად.

სოფლის მოსახლეობა კი სულ სხვა რამეს ამტკიცებს. მათ აქციებიც კი მოაწყვეს ამ ზაფხულს მეუფის წინააღმდეგ. ამ დღეებში კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელზე აპირებენ წერილის გაგზავნას.

საპატრიარქოს სახელზე, სხვათა შორის, ერთხელ უკვე გაიგზავნა წერილი. წერილი 1997 წლის 14 აგვისტოთი თარიღდება. მთელი რიგი სასულიერო პირები მეუფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

ეს მიმართვა ამ დღეებში ფართოდ განიხილებოდა ინტერნეტ-ფორუმებსა თუ სოციალურ ქსელებში. ამის პარალელურად სოფელ ალავერდის მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს და აქციებით იმუქრება.

ალავერდის მონასტრის გარშემო განვითარებულ ვნებათაღელვას აქტიურად აშუქებს კახეთის საინფორმაციო ცენტრი და, როგორც ისინი იუწყებიან,

სოფელ ალავერდის მოსახლეობა ამბა ალავერდელი მიტროპოლიტის დავითის მოხსნას ითხოვს.

ალავერდის მცხოვრებლები მეუფეს შევიწროებაში ადანაშაულებენ და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კონფლიქტის გამწვავების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო გადაწყვეტილების მიღებას სთხოვენ.

— ეგ მეუფე კი არა, ფეოდალია, რომელიც მიწით, ტყითა და ქონებით ვერ ძღება. ყველაფერი წაგვართვა, თან მასხრად გვიგდებს. სისტემაზე, რომლითაც სოფელი სასმელი წყლით მარაგდება, მონასტრის დამთვალიერებლებისთვის ტუალეტს აშენებს. უკვე რამდენიმე თვეა, წყალი არ გვაქვს, მიწის თხრის დროს მილები გაგლიჯეს და აღარ გააკეთეს. საძოვრებზე აღარ გვიშვებენ, ეს მიწები ეკლესიას ეკუთვნის და იქ საქონლის შეშვების უფლება არ გაქვთო. არც ტყეში გვიშვებენ, რომ ფიჩხი მოვაგროვოთ. ამას წინათ ეს ფაქტები გავაპროტესტეთ, თქვენი ჟურნალისტი მოვიწვიეთ და ყველაფერი გააშუქა. იმის შემდეგ უფრო გამწარდა. ეკლესიაში შემოსული არ დაგინახოთო. ვინ მისცა მაგას ეკლესია? მაგან ააშენა, მისი საკუთრებაა თუ რა არის? ეგ როგორი მორწმუნეა, ეკლესიის უკან, გალავანთან ახლოს, საფლავები ამოთხარა, ღვინის მარანში შესასვლელად გზა რომ გაეყვანა. პატრიარქს ვთხოვთ, რომ სასწრაფოდ დაინტერესდეს ამ საქმით, თორემ ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ. თუ ამან ჩვენი შევიწროება არ შეწყვიტა, მონასტერში აღარ შევუშვებთ და სოფლიდან გავაძევებთ. მოიყვანოს მერე იმდენი პოლიცია, რამდენიც უნდა. მთელ სოფელს ხომ არ დაგვიჭერენ?! — განუცხადეს ალავერდის მცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

მათივე თქმით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს წერილს კვირის ბოლომდე გაუგზავნიან.

ცნობისათვის, ახმეტის რაიონის სოფელ ალავერდის მცხოვრებლებმა მეუფე დავითის წინააღმდეგ პროტესტი ხმამაღლა პირველად 24 ოქტომბერს გამოთქვეს, როცა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გამართეს. აქციაში სოფელ ალავერდში მცხოვრები 50-მდე ადამიანი მონაწილეობდა. აქციის მონაწილეებთან მონასტრიდან ალავერდის ეკლესიის მოძღვარი, მამა იოსები გამოვიდა, თუმცა, ჟურნალისტების დანახვისთანავე მან ტერიტორია უკომენტაროდ დატოვა.

აქციის მონაწილეების თქმით, მანამდე მოძღვარმა უკმაყოფილო ხალხს უთხრა, რომ ისინი სექტანტები არიან და ეკლესიას ამიტომ ებრძვიან. „ეკლესიაში შევდივართ, ვლოცულობთ, სანთელს ვანთებთ, ქრისტიანი მართლმადიდებლები ვართ. ეგენი სექტანტებს იმიტომ გვეძახიან, ხმა რომ ამოვიღეთ“, — აღნიშნეს აქციის მონაწილეებმა.

აქციის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიციამ ალავერდის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან გარემოვაჭრეები აყარა, ფაცხები კი დაშალეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს შს ახმეტის რაიონულ სამმართველოში განუცხადეს, ტერიტორიიდან გარემოვაჭრეების გაყვანის მოთხოვნით პოლიციას ალავერდის ეპისკოპოსმა მიმართა. კონფლიქტთან დაკავშირებით მეუფე დავითი კომენტარს არ აკეთებს.

სამაგიეროდ საინტერესო განცხადება გააკეთა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციამ. მათი მტკიცებით, ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავარს, მიტროპოლიტ დავითს, განსხვავებული რწმენისა და აღმსარებლობის ჯგუფი უპირისპირდება.

„თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის 8 დეკემბერს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელდა სოფელ ალავერდში მცხოვრები მცირე ჯგუფის შეურაცხმყოფელი განცხადება ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრის, მიტროპოლიტ დავითის მიმართ. განცხადებაში ნათქვამია, რომ თითქოსდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის მოსახლეობა განიცდის შევიწროებას ალავერდელი მიტროპოლიტის, მეუფე დავითის მხრიდან, რაც მტკნარი სიცრუეა და სიმართლეს არ შეესაბამება, რომელიც მიზნად ისახავს როგორც მიტროპოლიტ დავითის, ასევე მართლმადიდებელი მრევლის დისკრედიტაციას.

პარტია „თავისუფალი საქართველო“ დაინტერესდა აღნიშნული განცხადებით და სოფელ ალავერდში, ზემო ალვანსა და ქვემო ალვანში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

მათი განმარტებით, ადამიანთა ჯგუფი, რომელიც უპირისპირდება მიტროპოლიტს, მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, წარმოადგენენ განსხვავებული რწმენისა და აღმსარებლობის ჯგუფს. სწორედ ამიტომ ხდება ცალმხრივი დაპირისპირება ადამიანთა ერთი ჯგუფის მხრიდან ქართული დედა ეკლესიის მიმართ. ჯგუფი მეუფეს მოიხსენიებს შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური სიტყვებით, რაც არა მხოლოდ არაკორექტულია, მეტიც, კატეგორიულად მიუღებელია. რაც შეეხება ალავერდის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სწორედ ეს გახლავთ გაღიზიანების საფუძველი.

ისინი ითხოვენ ეკლესიის ტერიტორიის საძოვრად გამოყენებას, რაც ყოვლად დაუშვებელია. განცხადებაში ასევე ითხოვენ ალაზნის ჭალის ტყით სარგებლობას სათბობი შეშის მოპოვების მიზნით, რაც, „თავისუფალი საქართველოს“ განმარტებით, მიუღებელია. აღნიშნული ჭალა კონკორდატის საფუძველზე უკვე რამდენიმე წელია გადაეცა ეკლესიას და სწორედ ალავერდის ეპარქიის მეუფის, მიტროპოლიტ დავითის დიდი ძალისხმევით მოხერხდა უნიკალური ტყის გადარჩენა, რომელსაც ასევე გააჩნია ტურიზმის განვითარების უნიკალური პოტენციალი.

განცხადება ასევე შეიცავს მუქარის ტონს, რომ თითქოს მეუფის საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში წინ აღუდგებიან მის ეკლესიურ საქმიანობას და არ მისცემენ მოღვაწეობის საშუალებას.

— ეს ყველაფერი კი ხდება იმ ფონზე, როდესაც კონკრეტულ ეპარქიაში არ არსებობს ქართული ეკლესიის, მართლმადიდებელი მრევლის მხრიდან თუნდაც უმნიშვნელო შეზღუდვა განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანთა მიმართ. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული ჯგუფი გაგებით მოეკიდება მართლმადიდებლური რწმენის ადამიანთა ღირსებასა და პატივს, თავს შეიკავებს მსგავსი არაკორექტული განცხადებებისგან, რომ აღარაფერი ვთქვათ მუქარაზე. ასევე ვიმედოვნებთ, რომ ამ ჯგუფის უკან არ დგას ძალა, რომელიც დაინტერესებულია კონფლიქტის გაჩაღებით განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანთა შორის, — აცხადებს გიორგი მოსიაშვილი.

ალავერდის გარშემო მართლა საინტერესო და სახიფათო ამბები ხდება, რასაც დიდი სიფრთხილით ესაჭიროება მოგვარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რელიგიურ ნიადაგზე მოხდეს რაიმე კონფლიქტი.

დასამალი არ არის, რომ კახეთში და მათ შორის ახმეტაში მრავლად ცხოვრობენ განსხვავებული რწმენისა და აღმსარებლობის ადამიანები.

აქაური მართლმადიდებლებისთვის ალავერდის მონასტერი ძალიან ბევრს ნიშნავს და, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, რა მოხდება, თუ სასულიერო პირებს მონასტერში არ შეუშვებენ.

იმედია, პრობლემის მოგვარებაში თავის როლს ეკლესიაც შეასრულებს და მოსახლეობის მოთხოვნების ნაწილს მაინც გაითვალისწინებს.

# ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილმა 8 თვის პენსიები მოტეხა“

თეა მარხვაიძე

**უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 9 დეკემბერს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს. კაცმა რომ ჰკითხოს დეპუტატებს, ბიუჯეტი ყველას ადარდებს და აღელვებს. ამის მიუხედავად, მის განხილვაზე მისვლისგან თავი არ შეუწუხებიათ, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, არ უჩქარიათ. ამიტომაც სხდომა დაგვიანებით დაიწყო. რამდენიმე წუთის განმავლობაში კვორუმსაც კი ვერ აგროვებდნენ. ეს ჩვენი პარლამენტისთვის სიახლე ნამდვილად არ არის. ჩვენი დეპუტატები ან დილით ვერ იღვიძებენ ადრე, ანდა ჭირივით ეზარებათ პარლამენტში მისვლა. არადა, იქ მოსახვედრად პოზიციაც და ოპოზიციაც თავებს იხოცავენ. საკმარისია იქ მოხვდნენ, რომ თუ ქუდი არ შეუგდე, სხდომათა დარბაზში არ შედიან.**

გუშინ ამ მხრივ კიდევ არაუშავდა რა. დავით ბაქრაძემ კვორუმი რამდენიმე წუთში შეკრიბა და სხდომაც დაიწყო. ფრიად კმაყოფილი ჩანდა დავით ბაქრაძე. ეს გასაკვირი არ არის. მთავრობამ თურმე პარლამენტის რამდენიმე მოთხოვნა გაითვალისწინა.

მთავრობამ ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში პარლამენტის რამდენიმე შენიშვნა გაითვალისწინა. საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტს თან ახლავს კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია მომავალ წელს დაგეგმილ კაპიტალურ პროექტებზე. ამით კი მთავრობამ პარლამენტის მოთხოვნა გაითვალისწინა.

ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში ასევე გათვალისწინებულია შენიშვნა, რომლის თანახმადაც, კანონპროექტის პროგრამული ბიუჯეტის დანართით წარმოდგენილი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების შეფასების ინდიკატორები ზოგ შემთხვევაში არის ზოგადი ხასიათის, რაც არ იძლევა მოსალოდნელი შედეგების დეტალური შეფასების საშუალებას.

— —ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში დაიხვეწა ზოგიერთი პროგრამისა და ქვეპროგრამის შეფასების ინდიკატორები, ასევე ზოგიერთი პროგრამა გაიშალა უფრო დეტალურად (კერძოდ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამები), — აღნიშნულია პროექტის დანართში.

მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა ბიუჯეტის პროექტით აღფრთოვანებული არიან. ოპოზიცია კი, როგორც წესი და რიგია, აღშფოთებული და შეშფოთებულია.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გურამ ჩახვაძე მიიჩნევს, რომ მთავრობის ეკონომიკური გუნდი არაკომპეტენტურია. მისი თქმით. მთავრობის არაკომპეტენტურობა იმაში გამოიხატება, რომ მას პოლიტიკური შორსმხედველობა არ აქვს.

ჩახვაძე ეთანხმება მთავრობას, რომ ქვეყანაში არის ეკონომიკური ზრდა, თუმცა ეს ზრდა მხოლოდ თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ მის სიკეთეს მთელი საზოგადოება უნდა გრძნობდეს და ამას უმუშევრობის შემცირება უნდა მოსდევდეს.

— ეკონომიკა იზრდება და სტატისტიკურად უმუშევრობის ნიშნული არ იცვლება. მთავრობა აცხადებს, რომ ბიუჯეტის ხარჯები უნდა შემცირდეს და ეკონომიკას მეტი ფული უნდა დავუტოვოთ, მაგრამ როგორ ნაწილდება ის? 90 მსხვილ ბიზნესზე მოდის და მხოლოდ 10 პროცენტი –– მცირეზე. დასაქმებულთა რაოდენობის 70 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის და მხოლოდ 30 პროცენტი — მცირე ბიზნესზე. მთავრობას მცირე ბიზნესი გერის როლში არ უნდა ჰყავდეს. პრობლემას ორი მიზეზი აქვს: არ არსებობს კონკურენტული გარემო და მცირე ბიზნესი სახელმწიფოს პოლიტიკის გარეუბანშია მოქცეული, — განაცხადა გურამ ჩახვაძემ.

მისი თქმით, ოპოზიციას ხშირად საყვედურობენ, რომ არა აქვს პოლიტიკური ხედვა, რადგან ხელისუფლებას განსხვავებულ რეფორმებს სთავაზობს.

ჩახვაძის განმარტებით, ოპოზიციის რეფორმები ნიშნავს, რომ ქვეყანაში უნდა იყოს საყოველთაო დაზღვევა, საპენსიო დაზღვევა დაგროვების პრინციპზე, უმუშევრობის დაზღვევა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობაში აგროდაზღვევის დამკვიდრება, კოოპერაციული სისტემის ხელშეწყობა, სუბსიდირება და ა.შ.

თავის გამოსვლის დასასრულს ჩახვაძემ იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვისას პარლამენტში ოპოზიციური სპექტრი უფრო მეტი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი და ოპონირების შედეგად ბიუჯეტის უკეთესი პროექტი იქნება მიღებული.

მთავრობის და ნაციონალების ნაფერები ბიუჯეტის პროექტი დაუნდობლად გააკრიტიკა გია ცაგარეიშვილმა. მისი მტკიცებით, მომავალი წლის ბიუჯეტი გაუმჭვირვალეა. დეპუტატის თქმით, 2000 წლის ბიუჯეტი ბევრად უფრო გამჭვირვალე იყო.

თავისი არგუმენტების გასამყარებლად ცაგარეიშვილს არქივში ქექვაც არ დაზარებია. მოიძია 2000 წლის ბიუჯეტის პროექტი და სხდომაზე ბაირაღივით ააფრიალა.

მისი თქმით, უშიშროების სამინისტრო ყოველთვის დახურული უწყება იყო, მაგრამ 2000 წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში მისი დაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხა 12 მუხლად იყო გაშლილი და დაკონკრეტებული. დღეს წარმოდგენილ დოკუმენტში კი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება მხოლოდ 4 მუხლად არის ჩამოყალიბებული.



— წარმოდგენილი ბიუჯეტი ხალხისაგან დამალულია. ყველა ხარჯი დაფარული და არატრანსპარენტულია. ამის გამო მას მხარს ვერ დავუჭერთ, — აღნიშნა გია ცაგარეიშვილმა.

ისინი ბიუჯეტისთვის მხარის დაჭერას არც იმ შემთხვევაში აპირებდნენ, იქ ბევრი რამე რომ ყოფილიყო გამჭვირვალე.

ცაგარეიშვილის მიერ ამოქექილ 2000 წლის ბიუჯეტის პროექტზე ყურადღება ქართული დასის ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამაც გაამახვილა.

— 2000 წელს, როდესაც, ხელისუფლების შეფასებით, ბნელი და უკუნი სუფევდა, პროექტში უშიშროების ხარჯები გაშიფრული იყო. ის კი საკმაოდ გამჭვირველე იყო. დღეს ჩვენ გვაქვს ერთი პუნქტი –– სამხედრო ხარჯები, რომელიც არავინ არ იცის, ე.წ. ნდობის ჯგუფის, 5 კაცის გარდა. უმცირესობას ამ ნდობის ჯგუფში ჰყავს გია თორთლაძე და გიორგი თარგამაძე. დანარჩენი 3 წევრი უმრავლესობაა, რამდენიმე თვეა გთხოვთ, რომ ფრაქციისთვის გათვალისწინებული კვოტით მასში დიმიტრი ლორთქიფანიძე შეიყვანოთ, მაგრამ არ შეგყავთ, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

მან ბიუჯეტის პროექტში სხვა ხარვეზებიც აღმოაჩინა. რის გამოც მრავალგზის გამოხატა აღშფოთება. დეპუტატი სააკაშვილის ქმედებითაც არის აღშფოთებული.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სოსო ცისკარიშვილი: „პუტინს შიდა პრობლემებს საქართველოსთან ომი ვერ მოუგვარებს“

თამარ ნინიძე

**პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ხელი უნდა აიღოს პუტინისეული ვაიდემოკრატიის მიბაძვაზე და რუსეთში არსებული რთული ვითარებიდან სათავისოდ გაკვეთილები უნდა გამოიტანოს. „ახალი თაობა" ბატონ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**

*— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ბრძანდებით ავტორი დოკუმენტის „საქართველოს მოდერნიზაციის გზამკვლევი“. რა იგულისხმება ამ დოკუმენტში?*

— ეს არის ერთ–ერთი ვარიანტი საპროექტო წინადადების, ჩვენ ვაპირებთ შევქმნათ გარკვეული ნაწილი „საქართველოს დემოკრატიზაციის გზამკვლევის“, ეს გახლავთ დოკუმენტი, რომელიც უნდა იყოს საჯარო სარგებლობისთვის გამოყენებული, საზოგადოებისთვის და დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. ეს წარმოადგენს ორიგინალურ კომპლექსურ ნაშრომს ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესის განვითარების ხელშესაწყობად. ამ დოკუმენტში შეფასებული იქნება დღევანდელი რეალობა, ასევე დასახული იქნება გზები, რომელიც აუცილებელია გასავლელად დემოკრატიული გარდაქმნების კუთხით.

*— ხომ არ შეხვდით ბატონ ივანიშვილს და ხომ არ განხილულა მასთან შეხვედრაზე ეს დოკუმენტი?*

— მისი განხილვა ვერ მოხდებოდა იმიტომ, რომ ეს დოკუმენტი ჯერ არ არსებობს, შესაქმნელია, მე მქონდა ბატონ ბიძინასთან შეხვედრა და სხვა საკითხებთან ერთად ვისაუბრეთ ასეთი ნაშრომის შექმნის პერსპექტივაზეც.

*— ხელისუფლება კანონმდებლობაში ცვლილებებისთვის ემზადება, ერთ–ერთი ამ ცვლილებით, ადამიანს*



*უფლება რომ მიეცეს გახდეს პარლამენტის დეპუტატი, ის ბოლო სამი წელი უნდა ცხოვრობდეს საქართველოში. თქვენ როგორ აფასებთ ამ ცვლილებას?*

— იმედი მაქვს, ამას არავითარი კავშირი არა აქვს წინა თემასთან, რომელზედაც ახლა ვსაუბრობდით. კანონმდებლობის ჭრა–კერვა ხელისუფლების სრულიად უპირობო საკუთრებაა, ამიტომ, როცა უნდათ, მაშინ შეძლებენ ცვლილებების შეტანას. ასეთ ვითარებაში გართულდება სამართლიანობის განცდის დამკვიდრება საზოგადოებაში, სამართლიანობის დეფიციტი დღემდეც საკმაოდ მწვავეა საზოგადოებაში.

*— როგორ ფიქრობთ, შეძლებს ბატონი ივანიშვილი თავისი გუნდით სრულფასოვნად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში?*

— მთავარია სრულფასოვნება იყოს ამომრჩევლების მხრიდან. რაც შეეხება ივანიშვილს და მის გუნდს, მე მგონი, ისინი მოახერხებენ ისეთი სტატუსის მოძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ერთპოლუსიანი პოლიტიკური ცხოვრების ისტორიის კუთვნილებად გადაქცევას.

*— როგორ აფასებთ საპარლამენტო არჩევნებს რუსეთში?*

— დღეს რუსეთში ადეკვატური რეა“ლობაა. იმ ველურ დემოკრატიასთან მიმართებაში, რასაც ამკვიდრებს პუტინი და მისი ცნობიერების მქონე სხვა ხელმძღვანელები. გარკვეული იმედის მომცემია მხოლოდ ის რეაქცია, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაჟღერდა მკაფიოდ დასავლელი ლიდერების მხრიდან, იმ ტრაგიკული ვითარების გამო, რაც რუსეთშია თავისუფალი აზრის, თავისუფალი მედიის და ზოგადად დემოკრატიული პროცესების მიმართ. მთავარია ჩვენ სწორი გაკვეთილები გამოვიტანოთ თავად საკუთარი მოხმარებისთვის, ხელი ავიღოთ გარკვეული მიბაძვებისგან რუსული ვაიდემოკრატიისთვის.

*— ჩიკაგოს სამიტამდე ცნობილი გახდა, რომ ნატოს აქვს ოფიციალური დოკუმენტი მომზადებული, რომელშიც მაკედონიასთან, ჩერნოგორიასთან, ბოსნია–ჰერცოგოვინასთან ერთად, საქართველოც მოხსენიებულია ნატოს პარტნიორ ქვეყნად. ხელისუფლება ამას აფასებს, როგორც კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ნატოსთან დაახლოების თვალსაზრისით. რუსეთმაც უკვე დაიწყო მწვავე განცხადებების გაკეთება. როგორია თქვენი კომენტარი ამაზე?*

— საქართველო მოხსენიებული რომც არ ყოფილიყო ამ ჩამონათვალში, არავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ ნატოსთან საქართველოს აკავშირებს პარტნიორული ურთიერთობები. ჩემთვის მიმზიდველია ის ფაქტი, რომ ასეთმა ჩამონათვალმა გაალიზიანა და დააკარგვინა წონასწორობა რუსეთის ხელისუფალთ, კიდევ უფრო აშკარად წარმოაჩინეს საკუთარი იმპერიალისტური მიდრეკილებები სამეზობლოსთან დაკავშირებით.

*— პუტინს შინ დაძაბული მდგომარეობა აქვს, მოსკოვთან და პეტერბურგთან ერთად საპროტესტო აქციებმა მოიცვა რუსეთის სხვა მრავალი ქალაქი. ასეთ ვითარებაში, როგორ ფიქრობთ, პუტინი ყურადღების გადატანის მიზნით ხომ არ დაიწყებს საქართველოსთან ახალ საომარ მოქმედებებს, მით უმეტეს, ლავროვმა განაცხადა, რომ დასავლელმა კოლეგებმა არ უნდა უბიძგონ სააკაშვილს 2008 წლის აგვისტოს მსგავსად კიდევ ერთი ავანტიურისკენ?*

— ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო, არის ასეთი გამოთქმა, მაგრამ ჩვენ ეს ეტაპი გავიარეთ და ლავროვის ვერანაირი ფრაზა გულს ვეღარ მოგვიკლავს და აღარც დასავლეთია ისეთი მიამიტი, როგორც შეიძლება სამი წლის წინ ყოფილიყო. არ გამოვრიცხავ, რომ შინაგანი არეულობა რუსეთმა გამოიყენოს საკუთარი უსუსურობის გადასაფარად, რასაც ჰქვია ანტისარაკეტო სისტემების დამონტაჟება მიმართული ევროპასა და სხვა მეზობელი ქვეყნებისკენ. ამისთვის მას არც შნო აქვს, არც უნარი და რაც მთავარია, არც ფინანსური შესაძლებლობა. სწორედ ანალოგიურმა ვარსკვლავური ომის საფრთხემ, რომელიც რეიგანის პროგრამა იყო, დაშალა საბჭოთა კავშირი, სრულიად აშკარა იყო, რომ ასეთი ტიპის ქვეყანა ვერ შეძლებდა რაიმე სახის კონკურენციას. ახლა პუტინისა და მედვედევის ხმამაღალი განცხადებები, რომ რაღაცას არ დაუშვებენ და სამაგიერო ნაბიჯებს გადადგამენ, არის მხოლოდ ამბიციურ პოლიტიკოსთა გულის ძახილი და არანაირ გათვლასა და რუსეთის პოტენციალს არ შეესაბამება. ამიტომ გადასაფარი ბევრი აქვთ ერთმანეთის მიმართაც და შიგნით სახელმწიფოებრივი პრობლემების მოსაგვარებლადაც, თუმცა, ყველაზე ნაკლები, რაც მოუგვარებთ რაიმე ტიპის პრობლემას ქვეყანაში, ეს გახლავთ საკუთარი საზღვრის გარეთ ხელების ფათური, რაშიც იმედი მაქვს, რომ თავადაც დარწმუნდებიან.

# ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილმა 8 თვის პენსიები მოტეხა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბაღათურია აცხადებს, რომ 2011 წელს პრეზიდენტი პენსიების მოტეხვით რეკორდსმენი აღმოჩნდა.

— პრეზიდენტმა და მთავრობამ პენსიონერების 8 თვის კუთვნილი პენსია მიითვისეს. ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ 67 წელს ზემოთ მყოფი პენსიონერებისა და პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პენსია 2012 წლის მხოლოდ სექტემბრიდან იზრდება. დანარჩენი 8 თვის თანხა კი, მისი თქმით, პრეზიდენტმა მიითვისა. სხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, 67 წლამდე ასაკის პენსიონერთათვის, მარჩენალდაკარგულებისა და სხვებისათვის კი პენსია სექტემბრიდანაც კი არ იზრდება. მაინტერესებს, რა დაუშავეს ამ ადამიანებმა ხელისუფლებას.

პენსიების ასე ღია, საჯაროდ მოტეხვა და კორუფცია საქართველოში არასდროს ყოფილა, შევარდნაძის დროშიც კი. უკიდურესად გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე დროსტარება, დისკოთეკებზე გართობა თუ თხილამურებით სრიალი მძიმე დანაშაულია. მთავრობამ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ოპოზიციის არც ერთი შენიშვნა არ გაითვალისწინა იმაზე, რომ ჭამა-ყლაპვისა და დროსტარების ხარჯები მოეკლოთ და ისინი სოციალურ ხარჯებში მიემართათ. მარტო გუდაურში სააკაშვილის მიერ თხილამურებით ჩამოსრიალების გამო ქვეყანა 96 მილიონი ლარის საგარეო ვალს იმატებს, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ცაგარეიშვილის მსგავსად, ბიუჯეტის მხარდაჭერაზე მანაც კატეგორიული უარი განაცხადა და ორიგინალური არგუმენტებიც მოიყვანა.

— ნათელია, რომ 2012 წლის სახელმწიფო ბიჯეტი ხელისუფლების ჯიბის, დროსტარების, ტაშ-ფანდურისა და ფანტაზიების ასრულების“ ბიუჯეტია, რომელსაც ჩვენი ფრაქცია მხარს არ დაუჭერს, — განაცხადა აღშფოთებულმა დეპუტატმა.

ბიუჯეტის პროექტით აღფრთოვანებულები არც ქრისტიან-დემოკრატები დარჩენილან. მათი შეფასებით, მომავალი წლის ბიუჯეტი არაადეკვატურია.

— შევეჩვიეთ, რომ მთავრობა ნელ-ნელა შემოგვაპარებს ხოლმე მილიონებს. გვიხარია, რომ გადასახადებიდან შემოსული თანხა იზრდება, მაგრამ რაც უფრო იზრდება ბიუჯეტის პარამეტრები, მით უფრო არაადეკვატური ხდება მისი გადანაწილების პრიორიტეტები, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

მისი თქმით, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მიმდინარე წლისაზე 300 მილიონით მეტია, მაგრამ ამ თანხიდან მთავრობამ 20 მილიონიც კი ვერ გამოძებნა, რათა პენსია 67 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვისაც გაიზარდოს.

— თურმე 200 000 ადამიანისათვის პენსიის 25 ლარით გაზრდა დაგვაქცევს, წელში გაგვტეხს და ქვეყანაში საბერძნეთისა და იტალიის მსგავს კრიზისს გამოიწვევს. პენსიების რაოდენობის დადგენისას ხელისუფლება პენსიონერებს ხან გეოგრაფიული და ხან სხვა ნიშნით ჰყოფდა. დეპუტატს ამჯერად აინტერესებთ, თუ რატომ იზრდება პენსია მხოლოდ 67 წელზე უფროსი ასაკის პენსიონერებისა და პირველი ჯგუფის შეზღუდული უნარების მქონე ადამინებისათვის და რატომ ზარალდებიან დანარჩენი კატეგორიის პენსიონერები და მარჩენალდაკარგულების ოჯახები, — ამბობს გიორგი ახვლედიანი.

მისი თქმით, დაახლოებით 2 მილიონ 700 ათასი ლარი იქნება საჭირო 46 000 ვეტერანის დასაზღვევად, რასაც ხელისუფლება ბიუჯეტში ასევე არ ითვალისწინებს.

— მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არიან ვეტერანები ისე იგნორირებულნი, როგორც საქართველოში, - — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

მან ყურადღება კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულ მოქალაქეებზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ მათთვის მინიმალური კომპენსაციის გაცემის პრობლემის მოგვარება მხოლოდ 10 მილიონი ლარით შეიძლება, რასაც პოლიტიკური ნება სჭირდება და ა.შ.

მის პასუხად ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ იკითხა, რაში მდგომარეობს ბიუჯეტის თანხის არაადეკვატური გადანაწილება. მისი თქმით, ბიუჯეტის დაგეგმვისას ყურადღება იმაზე მახვილდება, რომ ქვეყანაში ფისკალური სტაბილურობა შენარჩუნდეს და მას მაქსიმალურად დადებითი სალდო ჰქონდეს.

— ჩვენ ამ ყველაფერს ფხიზლად ვადევნებთ თვალს და დეპოლიტიზებულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ. თქვენი გამოსვლა კი პოლიტიკური და არაეკონომიკურია, -— მიმართა ახვლედიანს გვინდაძემ.

მთავრობას ბიუჯეტის პროექტი ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემაც დაუწუნა.

როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას განაცხადა, ბიუჯეტი 8 მილიარდამდე იზრდება, მაგრამ ოპოზიციის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინება მაინც არ ხდება. ვეფხვაძემ აქვე ქართული მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე“ გაიხსენა და აღნიშნა, რომ ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები „ისე ჩაარაკრაკა, როგორც ქაბატომ მზითევის ჩამონათვალი“.

— 2012 წლის ბიუჯეტში ვერ გამოინახა თანხა იმისათვის, რომ ვეტერანები, მეორე ჯგუფის ინვალიდები, მარჩენალდაკარგულები დააზღვიონ და შემწეობები გაიზარდოს. ვტრაბახობთ რაღაც კონგენიალური მიღწევებით, ახალი გენიალური იდეები გვაწუხებს, მაგრამ ვერ ვაძლევთ იმ ოჯახებს სახელმძღვანელოებს, ვისაც ეს სჭირდება, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

მისი თქმით, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 11 მილიონი ლარი დაუმატეს, რადგან უცებ ახალგაზრდობა გაახსენდათ და აქედან 6 მილიონი ლარი ახალგაზრდობისათვის გაითვალისწინეს.

— რატომ გაგახსენდათ ახალგაზრდები? შემთხვევით, არჩევნები ხომ არ არის? თქვენ გაგახსენდათ არჩევნები და მე გამახსენდა „ნაშისტები“, მოსკოვში რომ დარბიან, რომლებიც მსგავსი ფულით ფინანსდებიან. ასევე შექმნით ალბათ „ნაშისტებს“ ამ 6 მილიონით და წინ და უკან არბენინებთ“, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.



მისმა ნაციონალმა კოლეგამ მიხეილ მაჭავარიანმა ოპოზიციის პათოსი დაიწუნა და ბიუჯეტით კიდევ ერთხელ გამოხატა აღფრთოვანება.

მიხეილ მაჭავარიანის შეფასებით, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალური პრობლემების დაძლევაზეა ორიენტირებული.

— საქართველო პატარა ეკონომიკის ქვეყანაა და მას არა აქვს საშუალება, ჰქონდეს დახურული ეკონომიკა. საქართველომ პასუხი უნდა გასცეს მთავარ გამოწვევებს. ეს არის ევროზონისა და საერთო ეკონომიკური კრიზისი. 2012 წლის ბიუჯეტში კი ასახულია ხელისუფლების პასუხისმგებლობა ამ გამოწვევებზე. ოპოზიცია არასოდეს მხარს არც ერთ რეფორმას არ უჭერდა და არც ახლა უჭერს. თუმცა მთლიანი შიდა პროდუქტის 5 პროცენტით ზრდა ნიშნავს ქვეყანაში არსებული პრობლემების დაძლევას. კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობას და სხვა. ბიუჯეტში ასახული კონკრეტული პროგრამები დამატებითი ათასობით სამუშაო ადგილია, — აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

მისი თქმით, 100 ახალი საავადმყოფოს პროგრამას თავის დროზე მძიმე ეკონომიკური ფონი დაემთხვა, მაგრამ ხელისუფლებამ მაინც ბოლომდე მიიყვანა იგი. ახლა კი მთავრობისთვის მთავარია, ჯანდაცვა იყოს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი.

მაჭავარიანის მტკიცებით, წარმატებებია მოსალოდნელი სოფლის მეურნეობის სფეროშიც.

— მთავარია, საქართველომ შეძლოს ყველა პროდუქტის მაქსიმალურად მოყვანა, გაიზარდოს ექსპორტი. ყველა პროგრამა, რომელიც ასახულია ბიუჯეტში, მოგვცემს უფლებას, მოვაგვაროთ სოციალური პრობლემები ქვეყანაში, — დასძინა მიხეილ მაჭავარიანმა.

მაჭავარიანის გარდა ბიუჯეტი სხვა ნაციონალებმაც მოიწონეს. მმართველი გუნდი დიდხანს ტრაბახობდა მოიწვევებით.

# „სახალხო კრება“ აშშ-ის ელჩის სახელზე მიმართვას ავრცელებს

„სახალხო კრება“ ამერიკის ელჩის, ჯონ ბასის სახელზე მიმართვას ავრცელებს.

მიმართვის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიო მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა ფოტო, რომელზეც ნათლად ჩანან კალიფორნიის უნივერსიტეტის მჯდომარე მომიტინგე სტუდენტები, რომელთაც ერთ-ერთი პოლიციელი ცრემლსადენ გაზს ასხამს. ფოტოზე აღბეჭდილმა პოლიციელის ქმედებამ ნამდვილი სკანდალი გამოიწვია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საზოგადოების მკვეთრ უარყოფით რეაქციასა და პროტესტს ორი პოლიციელისა და მათი ზემდგომი პირის – პოლიციის უფროსიის გადადგომა მოჰყვა.

„2011 წლის 26 მაისს, საქართველოში, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სპეცდანიშნულების რაზმებმა და ზონდერ ბრიგადებმა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ჩაატარეს სადამსჯელო სპეცოპერაცია, რასაც ოთხი ადამიანის სიცოცხლე და ასობით ადამიანის ჯანმრთელობა ემსხვერპლა. ადგილზე, ბორკილებდადებულ აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებს ძალოვანები უმოწყალოდ, ხელკეტებით სცემდნენ და ესროდნენ რეზინის ტყვიებს. შემდეგ კი დაკავებულები გადაიყვანეს პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც უკვე კაბინეტებში სასტიკად აწამეს.

ძალოვანების წარმოუდგენელი ვანდალიზმი მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა და უამრავ კანონდარღვევას ძალოვანებისა და ზონდერბრიგადების მხრიდან პირდაპირ ეთერში გადასცემდა რამდენიმე როგორც ქართული, ასევე უცხოური ტელეკომპანია, არსებობს ამის ამსახველი ვიდეო და ფოტომასალა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები“,-აღნიშნულია მიმართვაში.



„სახალხო კრების“ განცხადების თანახმად, 26 მაისის დილას საქართველოს დედაქალაქში განვითარებული მოვლენების ობიექტურ გამოძიებას დღემდე ითხოვს როგორც „სახალხო კრება“, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები და მთელი ცივილიზებული სამყარო, თუმცა, ამ მოთხოვნას რეალური და ადეკვატური შედეგი არ მოჰყოლია. მათივე თქმით, „სახალხო კრება“ და მისი მომხრეები, საქართველოში სწორედ ისეთი დემოკრატიის მოთხოვნით მართავდნენ საპროტესტო აქციებს, როგორიც ჩვენს პარტნიორ ქვეყანაში – ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშია, სადაც ყველაზე მთავარი ღირებულება – ადამიანის თავისუფლება სახელმწიფოსაგან არის დაცული, სადაც კანონის წინაშე ყველა თანასწორია და ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს ყოველთვის აგებენ დამნაშავეები. ჩვენ ისეთი დემოკრატიისათვის ვიბრძვით, როგორიც დიდ ბრიტანეთშია, სადაც უკანონო სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით, თანამდებობა – სკოტლანდ იარდის ხელმძღვანელმა დატოვა, ხოლო დამნაშავე პოლიციელები დაისაჯნენ“,-ნათქვამია მიმართვაში.

ამავე მიმართვის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ კალიფორნიის უნივერსიტეტში მომხდარ ინციდენტზე უმალვე ადეკვატური რეაგირება მოახდინა და დამნაშავეები დაისაჯნენ.

„თვლით თუ არა, რომ საქართველო მეორეხარისხოვანი ქვეყანაა, სადაც ხელისუფლების უკანონო ქმედებები შეიძლება გამოუძიებელი და დაუსჯელი დარჩეს და იზიარებთ თუ არა პოზიციას, რომ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე უხარისხო ქართველები ვიდექით? რატომ არ მოითხოვთ კატეგორიულად თქვენს მიერ უპირობოდ მხარდაჭერილი საქართველოს ხელისუფლებისაგან 26 მაისის მოვლენების ობიექტურ გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას? მით უფრო, რომ ბევრი ადამიანი საქართველოში სწორედ თქვენს მიერ, 2011 წლის 25 მაისს, გაკეთებულ განცხადებას აღიქვამს ხელისუფლებისათვის მწვანე შუქის ანთებად. 26 მაისის მოვლენების გამო „სახალხო კრების“ 400 მომხრე უკანონოდ გასამართლდა ადმინისტრაციული წესით, 39 ადამიანი კი დაკავებულია და მოგონილი ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ელის. მათზე და მათი ოჯახის წევრებზე, მიმდინარეობს მუდმივი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა, რომ როგორმე აღიარებითი ჩვენება მიაცემინონ არ არსებულ დანაშაულზე. რაც ყველაზე მთავარია, ყველა ამ საქმეზე არ არსებობს არანაირი მტკიცებულება გარდა პოლიციელების ცრუ ჩვენებისა.

ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნებისათვის მიუღებელია ორმაგი სტანდარტები, მით უფრო დემოკრატიის ისეთ ფუნდამენტალურ საფუძვლებზე, როგორიც ადამიანის უფლებების დაცვა გახლავთ“,-ნათქვამია მიმართვაში.

ინტერპრესნიუსი

# კახა კუკავა: „რუსეთი მზადაა აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე დაგველაპარაკოს“

ქეთი ხომერიკი

**როდის დაბრუნდება ქართული პროდუქცია რუსეთის ბაზარზე, რა შანსი გაუშვა ივანიშვილმა, რატომ უნდა ვთქვათ ნატოზე უარი, დაინიშნება თუ არა ვადამდელი არჩევნები და რას აპირებს კუკავას პარტია? „ახალი თაობა" „თავისუფალი საქართველოს" ლიდერს კახა კუკავას ესაუბრა.**

კახა კუკავა:

– მოხდა მნიშვნელოვანი ფაქტი, თუმცა დღეს, შექმნილ პოლიტიკურ ფონზე არავინ მიაქცია ამას ყურადღება – ბატონმა ონიშენკომ გააკეთა განცხადება, რომ იწყება 7 ქართული კომპანიის პროდუქციის სერთიფიცირება.

***– კომპანიებმა უარი თქვეს რუსეთის ბაზარზე დაბრუნებაზეო...***

– არა, არა, უარი არ უთქვამთ, საერთოდ, ამ თემაზე ვრცელდება ბევრი ინფორმაცია, რომ, აი, უარი თქვეს კომპანიებმა. იმიტომ არის კომპანიები და არა ერთი კომპანია, რომ ვიღაცამ უარი თქვა, ვიღაცამ – არა. ახლა, როგორ არის იცით, გეტყვით, რას ნიშნავს უარი თქვეს. უმრავლესობას ჯერ არ მიუმართვს, თუმცა ეს არ ნიშნავს უარის თქმას. რეალურად, უარი თქვა ორმა კომპანიამ – თელიანმა ველმა და თელავის ღვინის მარანმა.

***– რატომ, ხელისუფლების შეეშინდათ?***

– შეიძლება არც შეეშეინდათ, სხვებს კი ჯერ რომ არ მიუმართავთ, არ ნიშნავს უარს. ანუ ეს კომპანიები არიან, ასე ვთქვათ, მოლოდინის რეჟიმში და 7 კომპანიაა, რომელმაც უკვე მიმართა. ჩვენ, საერთოდ, შევეცადეთ, ამ პროცესის დეპოლიტიზირების მიზნით დაგვეთმო ამ პროცესის მართვა საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაციისთვის (რომელიც შეიქმნა), რომელშიც გაწევრიანებული არიან ეს კომპანიები და მათ მიმართეს ონიშენკოს უწყებას. გუშინწინ ონიშენკომ გააკეთა განცხადება, რომ, აი, ამ 7 კომპანიის საქმე არის მიღებული განსახილველად და უკვე განიხილება საქართველოში ექსპერტების გამოგზავნის საკითხი.

***– როდის დასრულდება ეს პროცესი?***

– ამ საკითხებს ახლა ვარკვევთ, ამაზე ვმუშაობთ. არ ვიცი, ახალ წლამდე რამდენად მოხერხდება, ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში დასრულდება, რაც არის დიდი გამარჯვება, რადგან აქამდე სულ ლაპარაკობდნენ, რომ, აი, კუკავა რაღაცას მიქარავს, მიედებამოედება და ა.შ. კონკრეტული კომპანიებია და ამ კომპანიებს თუ უნდათ და ონიშენკოსაც თუ უნდა, ახლა, ვერა ქობალიას რა უნდა, ეგ აღარ არის აქ უკვე გადამწყვეტი.

***– პრეზიდენტისა და მმართველი გუნდის რეაქცია როგორი იქნება? რა ემუქრება ამ 7 კომპანიას?***

– ხელისუფლება პიარის თვალსაზრისით იქნება ძალიან გაბრაზებული, მაგრამ რეალურად, ვფიქრობ, ვერ შეძლებენ ამ პროცესის დაბლოკვას, რადგან დღეს ხელისუფლებას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ეს პროცესი შეაჩეროს. დღეს ხელისუფლებას, ბოდიშით ამ ჟარგონზე, მაგრამ ზუსტი ტერმინია აქვს ჟიმჟიმი და რატომ და რა მიზეზით, ეს ძალიან კარგად იცით.

***– რატომ?***

– რატომ და გაჩნდა მილიარდერი, რომელიც მათ წინააღმდეგ იბრძვის. და არ არის ეს ამბავი ადვილი მოსაგვარებელი, რადგან ისინი შეჩვეული არიან ძირითადად, უფულო და ღარიბი ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას (ეს საქმე კარგად აქვთ ათვისებული) და, აი, ფულიანი ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლა, ცოტა რთულია მათთვის.

***– ივანიშვილის ფაქტორმა ხელისუფლების რღვევა გამოიწვია ან გამოიწვევს? ითქვა, ნაციონალურ მოძრაობას ბევრი საკვანძო ფიგურა დატოვებსო...***

– არ გამოიწვია, ჩემი აზრით, ეს მომენტი უკვე გავიდა. ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება მუდმივადაა, რადგან ეს კონგლომერატი არის, თუმცა ის პროცესი, რაც ივანიშვილს უნდა გამოეწვია, ეს ვადა, მე მგონი, გავიდა. იყო ნაციონალურ მოძრაობაში გარკვეული შიშები თუ შფოთვები ოქტომბერ-ნოემბერში, მაგრამ ახლა, ერთგვარად დამშვიდდა პროცესი, რადგან არავინ ელოდება ივანიშვილისგან, ასე ვთქვათ, შტურმს. ივანიშვილი, როგორც ჩანს, საკმაოდ გაწონასწორებული და მშვიდობიანი მოწინააღმდეგეა.

***– ჩვენ მოვალთ უმრავლესობით, ყველაფერი კარგად იქნება,– ეს მილიარდერის სიტყვებია. როგორ აპირებს ივანიშვილი ამას? ხელისუფლება გულხელდაკრეფილი არ იჯდება...***

– ამას შალვა ნათელაშვილიც ამბობს, 20 წელია, მაგრამ... არ ვიცი, როგორ აპირებს, ჩვენ ივანიშვილის გუნდში არ ვართ და მისი კრიტიკა ჩვენი საქმე არ არის. ჩემთვის რომ ეკითხა ჭკუა, ერთ რამეს ვურჩევდი – ისეთი დიდი ნდობის კრედიტი ჰქონდა მას ოქტომბრის დასაწყისში, რომ სამი თვე, რომელიც ახალ წლამდე იყო დარჩენილი, საკმარისი იქნებოდა (არ ვამბობ ჰაერზე, რადგან ასეთი რამ ჩვენ გაგვიკეთებია უფრო ნაკლები რესურსითაც) ანუ ამ სამ თვეში მას თავისუფლად შეეძლო 500–მდე დასახლებულ პუნქტში ჩაეტარებინა შეხვედრა და ნახევარი მილიონი ქართველისთვის ჩამოერთვა ხელი.

***– ცუდი მრჩევლები ჰყავს?***

– არა, არ ვიცი, შეიძლება ისინი ჩემზე ჭკვიანები არიან და უფრო მოკლე და ეფექტური გზით მიდიან. მე, ვამბობ იმას, რასაც ვიზამდი მის ადგილას. ვფიქრობ, რომ ამის გაკეთება ახლა შეუძლებელია, რადგან იმ ეიფორიამ გაიარა. მას აქვს სხვა დიდი არგუმენტები, ძირითადი მისი არგუმენტი არის ბევრი დოლარი, რომელიც მას აქვს და, რა თქმა უნდა, ბევრი დოლარით შეიძლება პოლიტიკაში ძლიერი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ვფიქრობ, ეიფორიის კოზირი მან, პრაქტიკულად, დაკარგა. ეიფორია დღეს არ არის და ალბათ, შენ თვითონაც შეამჩნევდი, რომ თუ ორი თვის წინ ყველა მეტროს ვაგონში, მაღაზიაში თუ სხვაგან ხალხი დილიდან საღამომდე, როგორც მურტალოსა და კუკარაჩაზე ივანიშვილზე ლაპარაკობდა, ეს ასე აღარ არის, თუმცა ივანიშვილი მნიშვნელოვანი ფაქტორია. შეიძლება მათ უკეთესი გეგმა აქვთ, უკეთესი მრჩევლები ჰყავს, უკეთესი სტრატეგია აქვთ, მაგრამ ჩემი გადასახედიდან, ეს შანსი ხელიდან გაშვებულია.

***– „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე თუ ხართ მიწვეული? საერთოდაც, რატომ არ შემოგთავაზათ თანამშრომლობა ივანიშვილმა?***

– არა, შემოთავაზება არც ყოფილა და ამაში გასაკვირი არც არაფერია.

***– რატომ, იქნებ იმიტომ, კუკავას პარტია პრორუსულ ძალად რომ მიიჩნევა?***

– შეიძლება, მას არ გაუკეთებია ამასთან დაკავშირებით განცხადებები, ამიტომ ვარაუდების გამოთქმისგან თავს შევიკავებ, ერთი რამ აშკარაა – რესპუბლიკელებისა და ალასანის მიმართ მეტი სიმპათიები აქვს, ვიდრე ზოგადად დანარჩენი პოლიტიკური სპექტრის, მათ შორის, ჩვენ მიმართ. აი, ეს ფაქტია და ახლა, რატომ აქვს სიმპათიები რესპუბლიკელების მიმართ, არ ვიცი, ალბათ, მისი იდეოლოგია ემთხვევა რესპუბლიკელების იდეოლოგიას. მან ასე განაცხადა, ყოველ შემთხვევაში.

***– საზოგადოების ნაწილის დად არ მოსწონს რესპუბლიკელების იდეოლოგია, ამ პარტიას არ სწყალობენ...***

– არჩევნებზე გამოჩნდება, ხალხს რა მოსწონს და რა არა. საერთოდ, საზოგადოება ხშირად მოულოდნელ არჩევანს აკეთებს.

***– და თქვენ რას აპირებთ?***

– ჩვენი გეგმები და ამოცანაა, საზოგადოებას შევთავაზოთ ერთი მხრივ ალტერნატიული ხედვა. ჩვენი პარტია, ფაქტობრივად, ერთადერთია პოლიტიკურ სივრცეში, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს იდეოლოგიურად განსხვავებულ კურსს, რადგან ყველა სხვა პარტია ამბობს – მიშა არ ვარგა და მე, რომ მოვალ, უკეთესად გავაკეთებ იმას, რასაც მიშა ვერ აკეთებს. მაგალითად, ნატოში შესვლა სწორია, უბრალოდ, მიშა არ ვარგა და ნატოში ვერ შევყავართ, მაგრამ ჩვენ რომ მოვალთ, შევალთ ნატოში. ჩვენ ვფიქრობთ სხვანაირად – ნატო არ ვარგა იდეაში, ნატოში არ უნდა შევიდეთ. საპრეზიდენტო რესპუბლიკა არ ვარგა იდეაში და საპრეზიდენტო რესპუბლიკა არ უნდა იყოს.

***– ნატოში რატომ არ უნდა შევიდეთ?***

– იმიტომ, რომ აფხაზეთში უნდა შევიდეთ და არა ნატოში. ნეიტრალიტეტი ერთ–ერთი ვარიანტია, ჩვენ დაბალანსებული კურსი უნდა გვქონდეს. რუსეთს რაშიც ვლანძღავთ, ამის დიდ ნაწილში ხელისუფლებას და ოპოზიციის დიდ ნაწილსაც ვეთანხმები. დიახ, რუსეთი იმპერიაა და ოკუპანტია, მაგრამ ჩვენ, ვამბობთ, რომ აშშ-ც იმპერიაა და, პრაქტიკულად, აშშ-ც ოკუპანტია. ამიტომ უნდა გვქონდეს წარმოდგენილი შემდეგი – ორივესგან უნდა დავიხსნათ თავი და უნდა გვესმოდეს, თუ რუსეთს ძალიან დავუახლოვდებით, რუსეთი გაგვიკეთებს იმას, რაც გაგვიკეთა, თუ აშშ-ს დავუახლოვდებით, ანალოგიური გველის.

***– და ევრაზიის კავშირში, რომლის შექმნასაც პუტინი გეგმავს, უნდა შევიდეთ?***

– იცით, ჯერჯერობით, პუტინი არაფრის შექმნას არ აპირებს, მინდა გითხრათ, რომ ეს არსებობს საგაზეთო სტატიის დონეზე და მეტი ამის შესახებ არავინ არაფერი იცის. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ის, რასაც სააკაშვილი და მისი ხელის ბიჭები ახლა ლაპარაკობენ ევრაზიის კავშირზე, პარანოიაა. ევრაზიის კავშირი ეს არის, აი, როგორ გითხრათ, დაახლოებით ისეთივე რამ, მე რომ ვთქვა ახლა, ცუდი არ იქნებოდა ტაო-კლარჯეთი ერთ დღეს დაუბრუნდეს დედა-სამშობლოს და ამის გამო კრიტიკა დამიწყონ.

***– და ლავროვის განცხადებაზე რას იტყვით – შეაჩერეთ სვლა ნატოსკენ, რა ხდება, რუსეთი გვაფრთხილებს?***

– იცით, ჩვენ უნდა შევეჩვიოთ და, აი, თქვენ გონიერი ჟურნალისტი ხართ და კარგი იქნება თუ ამას ჩვენი ჟურნალისტები გააკეთებენ, უნდა დავანებოთ რუსეთის პარანოიდულ შეფასებებს თავი, რომ, აი, ლავროვმა თქვა, ნატოსკენ სვლა უნდა შევაჩეროთ და ვაიმე, რა უთქვამს ეს რუსეთს. რა არის ამაში არანორმალური? რუსეთი და აშშ ორივე იმპერიაა და იმპერიების ბუნებაა, არც ერთ იმპერიას არ სიამოვნებს, რბილად რომ ვთქვათ, მის საზღვრებთან იყოს სხვა, მეორე იმპერიის რაღაც საყრდენი წერტილები განლაგებული. ჩვენ რომ ვამ-



ბობთ, რუსეთს არ უნდა ამერიკის ძალები რუსეთის საზღვრებზეო, რა, აშშ-ს საზღვრებთან როცა განლაგდა რუსეთის ძალები, კინაღამ პლანეტა ააფეთქეს, ამიტომ...

***– რუსული მხარეც უნდა წამოვიდეს დათმობებზე, თითს კი არ უნდა გვიქნევდეს...***

– ამ შემთხვევაში თითი არ დაუქნევიათ საქართველოსთვის, ეს აშშ-სკენ დაქნეული თითი იყო. რა თქმა უნდა, აბსოლუტურად, სწორია თქვენ რაც ბრძანეთ, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ როგორც აშშ-ს კიდია ფეხებზე საქართველო და როგორც რუსეთს და თავის ინტერესები ადარდებთ, ჩვენც რუსეთი და აშშ უნდა გვეკიდოს ფეხებზე, მაგრამ ფეხებზე არ უნდა გვეკიდოს აფხაზეთი. თუ რუსეთი გვეტყვის, რომ შეაჩერეთ ნატოსკენ სვლა და იქნება კონკრეტული მოლაპარაკება აფხაზეთის საკითხზე, ხელისუფლებას უნდა ელაპარაკონ, მაგრამ...

***– თქვენ თუ გქონიათ ამ საკითხზე საუბარი რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან, რას ფიქრობენ?***

– მქონია ამ თემაზე საუბარი და შემიძლია გითხრათ, რომ არის მზადყოფნა. ამაზე მეტს მე ვერ გეტყვით და რატომ – მე ოპოზიცია ვარ, ჩემთან განიხილება საკითხი თეორიულად, მე, ვერ ვწყვეტ ნატოში საქართველოს არ შესვლას, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მაღალი რანგის პოლიტიკოსებს და მოაზროვნეებს როცა ვესაუბრები, მზადყოფნა და ინტერესი არის. ჩვენთან არის ზოგიერთი ფსევდოექსპერტი, რომელიც ამბობს, რომ თურმე რუსეთს ოჩამჩირეში სჭირდება სამხედრო–საზღვაო ბაზა. ახლა, ამას არაკომპეტენტურობაც კი არ ჰქვია, სასაცილოა. ეს ნიშნავს, რომ არათუ სამხედრო ექსპერტი არ ხარ, უბრალოდ, ისტორია არ იცი ელემენტალურ დონეზე. რუსეთს სევასტოპოლში აქვს ბაზა, ისეთი, რომელშიც ჩადებული აქვს მილიარდები და სტრატეგიული ინტერესები აქვს და ნოვოროსიისკშიც და, აი, ოჩამჩირეში რაში სჭირდება ეს ბაზა? ოჩამჩირეში ბაზა სჭირდება არა იმიტომ, რომ შავ ზღვაზე პოზიციები სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ აფხაზეთი შეინარჩუნოს და აფხაზეთი სჭირდება იმისთვის, რომ საქართველო შეაკავოს ნატოში შესასვლელად. თორემ ვერ ნახავთ მსოფლიოში ვერც ერთ ექსპერტს, რომელიც გეტყვით, რომ ოჩამჩირის ბაზას სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ნულია მისი მნიშვნელობა.

# გმირებს დრო ვერაფერს აკლებს

ნათია ხურცილავა

**აკადემიკოსმა ნუგზარ ბოკუჩავამ ჩვენთან ინტერვიუში ორი ქართველის, სხვადასხვა ეპოქის შვილის სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავგანწირვის იმ მაგალითებზე ისაუბრა, რომელიც ყველა დროში იქნება მისაბაძი.**


ნუგზარ ბოკუჩავა

***— ბატონო ნუგზარ, ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ მუშაობდით თემაზე, რომელიც ორი ქართველის გმირულ ცხოვრებაზეა. გვიამბეთ ამ ისტორიის შესახებ.***

— ისინი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში დაიბადნენ. ძირძველ ტრადიციულ ქართულ ოჯახებში გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ, იმ ოჯახებში, სადაც თაობებს ოდითგანვე მაღალი ზნეობის, სულიერებისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით ზრდიდნენ. სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს უნერგავდნენ. გერასიმე არჩუაძისა და სერგო (ხვიჩა) ბოკუჩავას სილაღესა და ხალას ვნებიან სიყვარულს მოკლებული, მაგრამ რაინდული, ხანმოკლე გმირული ცხოვრება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა, წყლის ორი წვეთივით ჰგავს ერთმანეთს.

გერასიმე 1921 წელს, დამოუკიდებელ საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოჭრამდე იუნკერთა სასწავლებელში საბრძოლო ხელოვნების საფუძვლებს განსაკუთრებული მონდომებით ეუფლებოდა, სერგო კი 1992 წელს უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობდა. ნიჭიერი სტუდენტი და პერსპექტიული სპორტსმენი, აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატი, არაერთ ტურნირში გამარჯვებული გახლდათ.

***— თქვენ ამბობთ, რომ ეს ორი ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები სხვადასხვა დროს ვითარდება, ერთმანეთს ჰგავს და აქ მთავარი გმირობის ისტორიაა?***

— დიახ. თანატოლთაგან ბიჭები შრომისმოყვარეობით, გამჭრიახობითა და მამაცობით გამოირჩეოდნენ. მაგრამ იმ ხანებში საქართველოში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა გერასიმესა და სერგოს სასწავლებლების დამთავრების საშუალება არ მისცა. ისინი თითქოს გრძნობდნენ მოახლოებულ უბედურებას, მტკივნეულად განიცდიდნენ ყოველივეს და სამშობლოსთვის თავგასაწირად შინაგანადაც ემზადებოდნენ. მაშინ ისინი მხოლოდ თვრამეტი წლის იყვნენ.

1921 წლის თებერვალი იდგა, მახსენდება კოლაუ ნადირაძის ეს სტრიქონები: „თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა ქვეყანა და დუმდა ხალხი“. ზუსტად გამოხატავს იმ განწყობას, რომელიც მაშინ სუფევდა. რუსეთის ბოლშევიკური წითელი არმია, რომელსაც ქართველთმოძულე და მოღალატე სერგო ორჯონიკიძე დამოუკიდებელი საქართველოს ასაოხრებლად და პროლეტარული დიქტატურის დასამყარებლად წინ მოუძღოდა, თბილისს გარს შემოეწყო.

კოჯორ-ტაბახმელის ველზე, სადაც რუსები და სხვა ათასი ჯურის გადამთიელნი ნიაღვრად მოედინებოდნენ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ამ უსამართლო და უთანასწორო ბრძოლაში იუნკერებმა საარაკო გმირობა გამოიჩინეს. ასეულმა, რომელსაც გერასიმე არჩუაძე მეთაურობდა, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს, არაერთხელ უკუაგდო და მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაღლეების დაკავების უფლება არ მისცა მას. წითელი ბანდების შემოტევას ბოლო არ უჩანდა. ამ უმძიმეს ბრძოლაში იუნკერებს ტყვია-წამალი თანდათან გამოელიათ და გერასიმე იძულებული გახდა, თბილისში ღამე, მალულად ჩამოსულიყო და დახმარებისთვის თავისი ბიძაშვილის, შეძლებული ვაჭრის, კოლა არჩუაძისათვის მიემართა. ის დაეხმარა, მიუხედავად სირთულეებისა. იმავე ღამეს უშოვა ტყვია-წამალი, დატვირთა და დამშვიდობებისას გზად მიმავალ ჭაბუკს მორიდებით სიტყვა დაადევნა — გერასიმე, ძმაო, ხომ ხედავ, ბრძოლის გაგრძელებას აზრი არა აქვს, თბილისს ბოლშევიკები იკავებენ, არავის ინდობენ და თავს შენც ნულარ დაიღუპავო. პასუხია საინტერესო: — რად ღირს კაცის სიცოცხლე, თუ იგი სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში არ დაიხარჯებაო.

***— თანამედროვეობამ მოიტანა, რომ თითქოს პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული ნიველირებულია. რას იტყვით?***

— სწორედ ამიტომ ერთიორად იზრდება ასეთი გმირობის ისტორიების მაგალითების თანამედროვე ახალგაზრდებისთვის გაცნობა. ისევ რომ დავუბრუნდეთ იუნკერთა ბრძოლას, დიდხანს იგერიებდა იუნკერთა რაზმი გავეშებული მტრის ხროვას, მალე ეს ტყვია-წამალიც გაუთავდათ, მაშველი კი არსაიდან ჩანდა, მათი რიგები თანდათან მცირდებოდა, თუმცა უკან დახევაზე არც უფიქრიათ. სხვა გზა არ იყო, გერასიმესა და მის ბიჭებს ხელჩართულ ბრძოლაში მოუხდათ ჩაბმა. სისხლის ღვრა გვიან ღამემდე გაგრძელდა. წარმოუდგენელი შემართებით ირჯებოდნენ ქართველი ვაჟკაცები, მტრის გვამებით აავსეს ველი მაგრამ ეს ღამე უკანასკნელი აღმოჩნდა გერასიმესა და მისი თანამებრძოლებისთვის, ისინი რაინდულად, წარბშეუხრელნი შეეგებნენ სიკვდილს, იმ რწმენით, რომ ოდესმე თავისუფალი, ბედნიერი და უკვდავი იქნებოდა საქართველო.

დრამატულად განვითარდა შემდგომი მოვლენები. იმ დღეებში სოფელ ზემო ბარში, არჩუაძეების ოჯახში, დიდი თუ პატარა საქორწინო მზადებით იყო დაკავებული. გერასიმეს ერთ-ერთი და მეზობელ სოფელში თხოვდებოდა. ქორწილი შაბათ დღეს იყო დანიშნული. გერასიმეს დაღუპვის ამბავი მამამ, იაკოფმა თბილისიდან ჩასული ახლობლისაგან შეიტყო, გაოგნებულმა ხმა ვერ ამოიღო, გაირინდა, შემდეგ სახლს კარგა მანძილით მოსცილდა, ისე, რომ არავის ენახა და გულმოკლულს, თითქოსდა განწირული კაცის გმინვა აღმოხდა. მალე გონს მოეგო, დამშვიდდა, ახლობლებთან სასწრაფო საქმე მოიმიზეზა და თბილისს გამოემგზავრა. დიდხანს ეძება მამამ შვილი, ერთ ხანს მისი პოვნის იმედიც გადაეწურა, მაგრამ ბოლოს მიხეილის საავადმყოფოს მორგში სრულიად შემთხვევით მიაგნო. აქ იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ოფიციალურად საავადმყოფოდან ცხედრის გადასვენება შეუძლებელი გახდა, რადგან მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართველი იუნკერები ქვეყნის მოღალატეებად იყვნენ შერაცხულნი და საავადმყოფოდან ალექსანდრეს ბაღში, წინასწარ ამოთხრილ ერთ დიდ ორმოში ყველას ერთად უპირებდნენ ჩაყრას.

იაკოფმა და კოლა არჩუაძემ მორგიდან ცხედარი ჩუმად წამოიღეს. თუთიის ჭურჭელში ჩაასვენეს და, ეჭვი რომ არავის შეჰპარვოდა, ცხენებისთვის განკუთვნილი საბარგო ვაგონით გადაასვენეს ქუთაისში. ქუთაისიდან სატვირთო ავტომანქანით, მერე კი ურმით, როგორღაც სოფლამდე ზემო ბარამდე საღამოს ააღწიეს. ქორწილის დამთავრებამდე გერასიმეს ცხედარი სოფლიდან მოცილებით, სათიბ-საძოვრებში გადამალეს.

მეტად მძიმე აღმოჩნდა ოჯახისთვის, განსაკუთრებით დედისთვის შემზარავი სიმართლის გამჟღავნება. სოფელს რომ არ გაეგო, დედამ შვილი ხმის ამოუღებლივ, ცხედარს დამხობილმა გულამოსკვნით დაიტირა. იმავე საღამოს გერასიმე „ჭაბოს მთავარანგელოზის“ ეკლესიის ეზოში ყოველგვარი რიტუალის, საფლავზე სახელისა და გვარის მინიშნების გარეშე, საიდუმლოდ დაკრძალეს, ვინაიდან არსებობდა საფრთხე, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი „მოღალატე“ ქართველი იუნკერი ამოეღოთ საფლავიდან და უკვალოდ გადაეკარგათ ან ტყეში მხეცთა საჯიჯგნად მიეგდოთ.

ოჯახი დიდი რისკის ფასად, წლების მანძილზე იცავდა და უვლიდა სამშობლოსათვის თავგანწირული გმირის გერასიმე არჩუაძის საფლავს. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გახდა ცნობილი და დღესაც არა მხოლოდ არჩუაძეების შთამომავლობა, არამედ ქართველი საზოგადოება, სოფელი ამაყობს და სასოებით უვლის ვაჟკაცის სამუდამო სასუფეველს.


გერასიმე არჩუაძე

**რა საერთო აქვთ საქართველოსთვის დაღუპულ ბიჭებს**

***— ბატონი ნუგზარ, როგორია ჩვენი თანამედროვე სერგო ბოკუჩავას გმირობის ისტორია?***

— „მე დასაღვრელად მედარდვის სისხლი“, რაც არ უნდა დიდ ისტორიას წერდეს ის. იმ ტრაგიკული მოვლენებიდან მრავალმა წელმა განვლო, საქართველომ 1991 წელს აღასრულა ხალხის ნება, ქვეყანაში ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის შედეგად საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მან ერთ-ერთმა პირველმა მიაღწია დამოუკიდებლობას, უმოკლეს დროში მოიპოვა საყოველთაო აღიარება და დასაბამი დაუდო საბჭოთა კავშირის რღვევას. ქვეყნის აღმშენებლობას არავინ და არაფერი უშლიდა ხელს, იგი სწრაფად ვითარდებოდა, რაც რუსეთის ხელისუფლების აშკარა შურსა და გაღიზიანებას იწვევდა. საქართველოს დასასჯელად რუსულმა კარგად მომზადებულმა ბოროტების მანქანამ კვლავ მოახერხა თავისი ერთგული დამპყრობლური ზრახვების განხორციელება. შინააშლილობებისა და სისხლიანი ურთიერთდაპირისპირების პროვოცირება, „ორჯონიკიძეებისა“ და მის მსგავსთა მიერ ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლების განდევნა და ბოლოს ქვეყნის აფხაზეთის ომში ჩათრევა. საქართველო კვლავ განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ქუდზე კაცის გამოყვანა გახდა საჭირო. თბილისში სამხედრო მობილიზაცია მიმდინარეობდა, იქმნებოდა მოხალისეთა რაზმები, რომლებიც გამარჯვების რწმენით გულანთებულნი პირდაპირ ფრონტის ხაზისკენ მიეშურებოდნენ.

***— სერგო ბოკუჩავა თქვენი ძმისშვილი იყო. ალბათ რთულია მასზე საუბარი, თუმცა შეიძლება ადვილიც იყოს, რადგან მისი გმირობის ისტორია უნდა მოგვიყვეთ...***

— სერგო ბოკუჩავამ მშობლებისაგან ფარულად რამდენჯერმე სცადა, სამხედროებს გაჰყოლოდა, მაგრამ ჩვიდმეტი წლის იყო და უარით ისტუმრებდნენ. ბოლოს მაინც მოახერხა, მოხალისეთა იმ ჯგუფში ჩაწერილიყო, რომელმაც გამთენიისას აფხაზეთისაკენ აიღო გეზი, დილით კი მისმა პატარა ძმამ, ჯაბამ, მაგიდაზე ბარათი იპოვა, არ გაუხსნია, პირდაპირ მამას მიურბენინა. ჯონდომ ბარათს დახედა და შეცბა, სახე შეეფაკლა, თითქოს რაღაცას მიხვდა, ბარათი ფრთხილად გაშალა და სტრიქონებს თვალი გაადევნა:

ის წერდა: ჩემო საყავრელო მშობლებო, ამ ბარათს რომ წაიკითხავთ, უკვე შორს ვიქნები, მაპატიეთ, ჩემი განზრახვის შესახებ წინასწარ რომ არ გაგაფრთხილეთ, თქვენს მძიმე რეაქციას მოვერიდე, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მე ერთი იმ ქართველთაგანი ვარ, რომლისთვისაც ყველაზე მთავარი სამშობლოს სიყვარულია. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ყოველთვის ამ რწმენით მზრდიდით. განა შევძლებდი, შორიდან მეცქირა იმისთვის, თუ მტერი თავისი ბინძური, სისხლიანი ხელებით როგორ შეურაცხყოფდა ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს. ვერ შევძლებდი, ამ საშინელ ტკივილს გავმკლავებოდი. კიდევ ერთხელ გთხოვთ, მაპატიოთ და გწამდეთ, გამარჯვებული დაგიბრუნდებით. თუ ასე არ მოხდა, ბედნიერი ვიქნები, რომ ჩემი სისხლი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღვრება. მშვიდობით, ჩემს ჯაბუნიას აკოცეთ. თქვენი სერგუშა.

ბარათის წაკითხვის შემდეგ მამამისი დიდხანს იჯდა გარინდებული, მერე მძიმედ ამოიოხრა და ცრემლმორეულმა თავისთვის ამაყად ჩაილაპარაკა — კარგად არ მცნობიხარ, შვილო, ვაჟკაცი გამიზრდიხარ!

აფხაზეთიდან ქართული ჯიშისა და ქართული სულის ამოსაძირკვად უწყვეტ ნაკადად შემოდიოდნენ ზომბირებული რუსული არმიის შენაერთები, კაზაკები, კრემლის მიერ დაქირავებული ჩეჩნების ბანდიტური დაჯგუფებები, ჩრდილოკავკასიელები. ქართველთა წინააღმდეგ გაერთიანდნენ ბაგრამიანის ბატალიონის მეომრებად წოდებული ადგილობრივი თუ იქ ჩასული სომხები და, რასაკვირველია, თვით აფსუები, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. არ ინდობდნენ ქართველ მოსახლეობას, ხოცავდნენ, აწიოკებდნენ, დევნიდნენ და საკუთარი კარმიდამოდან ერეკებოდნენ.

მოხალისეთა რაზმი, რომელსაც სერგო გაჰყვა, საღამოს ოჩამჩირეში, სოფელ არადუსთან დაბანაკებულ ბატალიონს სწორედ ასეთ უმძიმეს ვითარებაში პირდაპირ ბრძოლის დროს შეუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ მებრძოლები ძალიან სჭირდებოდათ, ბატალიონის ხელმძღვანელობამ ახალწვეულები, რომელთაც სამხედრო გამოცდილება არ ჰქონდათ მიღებული, მათ შორის სერგოც ინსტრუქტაჟისა და სპეციალური წვრთნისთვის რამდენიმე დღით ზურგში გადააგზავნეს, თუმცა, ისინიც მალევე ჩაერთვნენ ბრძოლაში.

სულ მოკლე ხანში სერგომ გასაოცარი მამაცობისა და საბრძოლო გამჭრიახობისთვის თანამებრძოლთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ქვემეხების გრიალსა და ტყვიების წვიმაში, ბრძოლის ველსა თუ გაყინულ ტალახიან სანგრებში მეგობრებისადმი თანადგომამ, უიმედო ვითარებიდან დაჭრილი ჯარისკაცების გამოყვანამ, ხელჩართულ ბრძოლაში მოწინავეობამ უფრო მეტი რწმენა შესძინა, დაავაჟკაცა და უშიშარ რაინდად ჩამოაყალიბა იგი. მაშინ ბიჭებმა მეტსახელად საკამოდ ცნობილი, ერთი ამერიკელი ჰეროიკული ფილმის გმირის „რემბოს“ სახელიც კი შეარქვეს. სერგოს მამაცობის ამბავმა თბილისშიც ჩამოაღწია. განუსაზღვრელი სიხარული განიცადეს და სიამაყის გრძნობით აღივსნენ მშობლები.


სერგო ბოკუჩავა

როდესაც ფრონტიდან წერილი მიიღეს, სადაც სერგოს მეთაურები მადლობას უხდიდნენ მათ ღირსეული მამულიშვილისა და გონიერი, უშიშარი ჯარისკაცის აღზრდისთვის.

სერგოს ერთ-ერთი თანამებრძოლი იხსენებდა: მისი საბრძოლო შემართება და ჟინი მეგობრებს ოპტიმიზმით აღგვავსებდა, გვამხნევებდა, კრიტიკულ სიტუაციებში წინაც მიგვიძღოდა. მასთან იმედიანად ვიყავით და ერთად ბრძოლაც გვიადვილდებოდა.

***— თუ იცით გადმოცემით რამე ისტორია ბრძოლის ველიდან?***

— ნოემბრის ცივი და ნისლიანი საღამო იყო. როგორც მომიყვნენ, მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტზე შეტევისთვის ვემზადებოდითო. უცებ გადამცემით ინფორმაცია მიუღიათ, სამიოდე კილომეტრის დაშორებით მიტოვებულ სახლში რუსები და აფსუები ტყვედ აყვანილ ორ ქართველ აწამებდნენ. რამდენიმე ბიჭი სერგოს მეთაურობით იმ სახლისაკენ წასულა, ნისლში იბრძოდნენ, ორი რუსი კაზაკი და ერთი აფსუა ბოძებზე ჯაჭვით მიბმულ ქართველ ჯარისკაცებს სახესა და მუცელში გამეტებით ურტყამდნენ ავტომატის კონდახებს. სასიკვდილოდ გამეტებული ბიჭები სამშვიდობოს გამოუყვანიათ. შეტევა, რომლისთვისაც ბატალიონი ემზადებოდა, რთულად, მაგრამ მაინც წარმატებით დასრულდა. სტრატეგიულად მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი ობიექტი იქნა დაკავებული. მტერი უკუიქცა ისე, რომ უამრავი ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა დაკარგა. ბიჭებმა დაჭრილი ჯარისკაცები გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან. ზოგს ჭრილობები გადაუხვიეს, უფრო მძიმედ დაჭრილნი საველე ჰოსპიტალში გადააგზავნეს. მათ ნაომარ, ნაჯაფ სახეებზე კი გამარჯვებით მიღწეული ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდათ.

ქართული საჯარისო შენაერთების წინსვლა მთელ რიგ ადგილებზე შეუქცევადი გახდა. მტერი მათ შეჩერებას ვერ ახერხებდა. თითქოს ერთგვარი გარდატეხის ჟამიც დადგა. იმედიანად შეჰყურებდნენ მომავალს ჯოჯოხეთურ ქარცეცხლში გამოვლილი, გამარჯვების რწმენით შემართული ყმაწვილები, მაგრამ, მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა.

***— თქვენ გულისხმობთ უკანდახევის ბრძანებას?***

— დიახ. უთანასწორო ბრძოლაში არაერთი ქართველი ვაჟკაცის მიერ დაღვრილი სისხლის ფასად მოპოვებული პოზიციების დათმობისა და უკანდახევის ბრძანება ცენტრიდან მიიღო ბატალიონმა. ამგვარი ბრძანებები ხშირად სხვა ქართულ შენაერთებსაც მისდიოდათ. ეს იყო აშკარად კიდევ ერთ ღალატი, ღალატი უფლისა და ერის წინაშე. იმხანად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხსა და ბედს სამხედრო საბჭო წყვეტდა... თითქოს ელოდა ამ საჩუქარს მტერი, ბრძოლებით უკან დახეული ბატალიონი მასირებული ცეცხლის ალში გაეხვია და შემდეგ მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდა. ეს ბრძოლა საბედისწერო და უკანასკნელი აღმოჩნდა სერგოსათვისაც. ხელჩართულ ბრძოლაში გაწაფულს, პირისპირ რომ ვერაფერი დააკლეს, ბოლმითა და ღვარძლით სულწაბილწულმა, ჩასაფრებულმა აფსუებმა დაჭრილი მეომრის გამოყვანის დროს ქურდულად, ზურგიდან დაცხრილეს ვაჟკაცი. საველე ჰოსპიტალში მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. სიკვდილის წინ ექიმებს სთხოვა, მე რომ ბიჭი გამოვიყვანე, აუცილებლად გადაარჩინეთ, დედისერთააო, შემდეგ ყველას გაუღიმა და საოპერაციო მაგიდაზე სამუდამოდ დახუჭა თვალი. იმ დღეს თვრამეტი წლის გახდა.

უბედურებისა და აღუწერელი ტკივილის ზარმა მძიმედ შემოჰკრა ბოკუჩავების ოჯახში. თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, საკუთარ სახლში გადმოსვენებული, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი გმირის სერგო ბოკუჩავასადმი პატივის მისაგებად ყოველდღიურად აურაცხელი ხალხი მიეშურებოდა. მათ შორის იყვნენ მისი თანამებრძოლები, სხვადასხვა სამხედრო შენაერთის წევრები, მეთაურები.

1992 წლის 6 დეკემბერს სერგო ბოკუჩავა ვაკის სასაფლაოზე, მისი ღირსეული წინაპრების გვერდით, სრული სამხედრო რიტუალის დაცვით დაკრძალეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რა დროსაც არ უნდა მივიდეთ, მის საფლავზე ახალი თაიგულის კონა გვხვდება. ძალიან მაინტერესებს, ვინ შეიძლება იყოს ამის ავტორი. შეიძლება, ეს მის დიდ სიყვარულს უკავშირდება.

დღეს ეს გმირები მივიწყებულნი არიან, არადა, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის თავშეწირული რაინდები საქართველოს უკვდავების კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა.

# პატიმრებს ოჯახის წევრის დაკრძალვაზე არ უშვებენ

## როგორ ირღვევა კანონი და რა პრობლემებით ვხვდებით ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს

შალვა ჯოხაძე

10 დეკემბერი, ადამიანის უფლებათა დაცვის დღე, საქართველოში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნება. 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა შესახებ საყოველთაო დეკლარაცია მიიღო და ეს დღე ყველა იმ ქვეყანაში აღინიშნება, რომელიც ამ დეკლარაციას არის მიერთებული.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გუშინ გაიმართა მრგვალი მაგიდა „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა".

ღონისძიება გახსნა საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა. სიტყვით გამოვიდნენ ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი კატერინა ბოლონეზე და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის ადამიანის უფლებათა მთავარი მრჩეველი ვლადიმირ შკოლნიკოვი. განიხილეს საერთაშორისო საზოგადოების მოხსენება – შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა.

ვენეციის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სიმონა გრანატა მანგინიმ ისაუბრა ვენეციის კომისიის მოხსენებაზე – ეუთოსა და ვენეციის კომისიის წესები/გაიდლაინები შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაზე.

ვენეციის კომისიის მოხსენებას საქართველოს კანონზე შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ წარმოადგინა ვენეციის კომისიის შემცვლელმა წევრმა, სახელმწიფო მდივანმა სტრატეგიულ საკითხებში, რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბოგდან აურესკუმ.

სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა წარადგინა საკუთარი ხედვა საქართველოში შეკრებებისა და მანიფესტაციის თავისუფლების რეალიზაციასთან და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. კერძოდ, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ საქართველო არის სახელმწიფო, სადაც შეკრებები და მანიფესტაციები საკმაოდ ხშირად იმართება. ამავდროულად მისი სრულყოფილი რეალიზაციის უზრუნველყოფა საკმაოდ კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს და სხვადასხვა უწყებების ძალისხმევას მოითხოვს. აუცილებელია სახელმწიფომ, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების სრული რეალიზაციის მიზნით, უზრუნველყოს ყველა სათანადო პოზიტიური ღონისძიების განხორციელება, ამავდროულად სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი აღნიშნულ თავისუფლებაში უხეში და არამართლზომიერი ჩარევისაგან.

მოხსენებები ასევე წარმოადგინეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა, კონსტიტუციის 42-ე მუხლის თავმჯდომარემ ნაზი ჯანეზაშვილმა, სამართლიანი არჩევნების აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ლომჯარიამ.

მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, პარლამენტის წევრებმა, მოსამართლეებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

როდესაც ადამიანის უფლებებზე მიდის საუბარი, უპირველეს ყოვლისა, პატიმრებს ახსენებენ ხოლმე, რადგანაც ერთ-ერთი კატეგორია ადამიანებისა, ვისი უფლებებიც დღეს ირღვევა, სწორედ პატიმრები არიან. მართალია, სახელმწიფო არ აღიარებს, მაგრამ საქართველოში არიან პოლიტპატიმრებიც. პოლიტპატიმრების უმრავლესობა კი სწორედ მანიფესტაციებში მონაწილეობისათვის სხედან ციხეში.

ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის" ინფორმაციით, 2011 წელს ე.წ. პოლიტპატიმართა რაოდენობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ აცნობეს, 2011 წლის 26 მაისს საქართველოს ისტორიაში პირველად ხელისუფლებამ ყველაზე დიდი სისასტიკით დაარბია პროტესტის გამომხატველი მომიტინგეები, მოკლა მიტინგის 4 მონაწილე, სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიაყენა და ადმინისტრაციული წესით გაასამართლა რამდენიმე ასეული მათ-



განი, ხოლო რამდენიმე ათეულ მომიტინგეზე განახორციელა სისხლის სამართლებრივი დევნა და მათ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

ორგანიზაციის განცხადებით, წელს საქართველოში გარდაიცვალა ყველაზე მეტი პატიმარი, რაც კი მანამდე რომელიმე წელს გარდაცვლილა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. მათივე მტკიცებით, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა 2011 წელს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მუდმივ დევნა-შევიწროებასა და ღირსების შემლახველ მოპყრობას განიცდიდა.

– წელს საქართველოს მოსახლეობისათვის კომუნალურმა გადასახადებმა ისტორიაში არსებულ მაქსიმუმს მიაღწია. 2011 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებულმა ფასებმა. 2011 წელს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია საქართველოში უმუშევართა რაოდენობამ, ხოლო სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებთა რაოდენობამ 3,5 მილიონიან ქვეყანაში მილიონს გადააჭარბა, – განაცხადეს ორგანიზაციაში.

მათივე თქმით, 2011 წელს ხელისუფლება წარმატებით აგრძელებდა ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, რომელიც მიმართული იყო მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვისა და გაღატაკებისკენ და ხელისუფლებისათვის უფლებების უპრეცედენტოდ გაზრდისკენ.

– 2011 წელს, ისტორიაში პირველად, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ 100 ათას მოსახლეზე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო ლიდერის პოზიცია დაიკავა, – თქვეს ორგანიზაციაში.

პოლიტპატიმრებზე ვსაუბრობდით და ერთ-ერთი მათგანი, ანზორ მეზვრიშვილი სასჯელს რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდის. მის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ანდრიაშვილი იცავს.

ცოტა ხნის წინ ანზორ მეზვრიშვილს ძმა დაეღუპა. საქართველოს კანონმდებლობით მას ჰქონდა უფლება, წერილობით მიემართა ციხის დირექტორისთვის და ეთხოვა, მიეცათ უფლება საკუთარი ძმის დაკრძალვაზე მისულიყო.

ანზორ მეზვრიშვილმა მართლაც მიმართა წერილობით ციხის უფროს ლაშა ბრეგვაძეს. თუმცა პატიმარს წერილის რეგისტრაციის ნომერი არ მისცეს. გაურკვეველია, საერთოდ მივიდა თუ არა მისი მიმართვა ადრესატამდე, რადგან დღემდე პასუხი არ მიუღია.

2 ნოემბერს პატიმარმა რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსს, ლაშა ბრეგვაძეს კიდევ ერთხელ მიმართა წერილობით და სთხოვა, პასუხი გაეცათ, რატომ არ მიეცა უფლება, საკუთარ ძმის დაკრძალვაზე მისულიყო. პატიმარმა ვერც ამ წერილზე მიიღო რეგისტრაციის ნომერი.

ადამიანის უფლებათა ცენტრში აცხადებენ, რომ ანზორ მეზვრიშვილი ასაკოვანია და გულის პრობლემები აქვს, ასევე აწუხებს ჰიპერტონია. მან მოამზადა თავისი უფლებების დარღვევებზე ვრცელი წერილი, რითაც ამერიკის საელჩოს მიმართავდა.

როგორც პატიმარმა ნინო ანდრიაშვილს აცნობა, სოციალურმა მუშაკმა მას უბრძანა, დაეხია აშშ-ს საელჩოსადმი მომზადებული წერილი. რამდენიმე დღის შემდეგ კი ადმინისტრაციასთან დაახლოებული პატიმრების პირით შეუთვალეს, შეეწყვიტა საჩივრების წერა, თორემ გაანადგურებდნენ.

ნინო ანდრიაშვილმა წერილობით მიმართა სასჯელაღსრულების სამინისტროს და რუსთავის №17 სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროს ლაშა ბრეგვაძეს ანზორ მეზვრიშვილის უფლებების დარღვევების შესახებ.

– მისი უფლებები ირღვევა ყოველდღე, მასთან აღარ შეაქვთ გაზეთები. ჩვენ ადმინისტრაციისგან მოვითხოვთ, შეწყვიტონ პატიმრის დევნა, უპასუხონ მის წერილებს და საშუალება მისცენ, ისარგებლოს კანონით დადგენილი უფლებებით, – ამბობს ნინო ანდრიაშვილი.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები ამ კოდექსით დადგენილი წესით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელზე შემოსული წერილების მისთვის ჩაბარებას, აგრეთვე მისი წერილების ადრესატისთვის გაგზავნას უზრუნველყოფს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პატიმარი ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით. განსაკუთრებულ პირად გარემოებებთან დაკავშირებით, საპატიმროს ადმინისტრაციამ მსჯავრდებულს შეიძლება უფლება მისცეს, დროებით დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, თუკი მიღებულია სარწმუნო ცნობა მისი ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე.

ანზორ მეზვრიშვილი პარტია „სამართლიანობის" წევრია და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დააკავეს. უფლებადამცველების მიერ ის პოლიტპატიმრად არის აღიარებული.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ანდრიაშვილი კიდევ ერთ საინტერესო ინფორმაციაზე ამახვილებს ყურადღებას. ის აცხადებს, რომ ნოემბრის დასაწყისიდან მას პატიმრები ველარ უკავშირდებიან. ადვოკატი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, მის ტელეფონზე პატიმრების ზარები სპეციალურად იბლოკება.

ცოტა ხნის წინ ნინო ანდრიაშვილს პატიმრების ნათესავები დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ მას პატიმრები ურეკავენ, ზარი ჩვეულებრივად გადის, მაგრამ ადვოკატი არ პასუხობს.

როგორც ნინო ანდრიაშვილი აცხადებს, ამ დროს მის მობილურ ტელეფონზე არც ზარის ხმა ისმის და არც შემომავალი ზარებია დაფიქსირებული.

ამის შესახებ ნინო ანდრიაშვილმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მიმართა და თავისი ეჭვებიც გაუზიარა. დეპარტამენტში ადვოკატს განუცხადეს, რომ მათგან ზარები შეზღუდული არ იყო და მსგავსი ტექნიკური პრობლემის შესახებ არაფერი იცოდნენ. ურჩიეს, მის მობილურ ოპერატორთან გადაემოწმებინა, მათ ხომ არ ჰქონდათ შეფერხება.

ნინო ანდრიაშვილმა ეს საკითხი „ჯეოსელშიც" გადაამოწმა. აქ მას უთხრეს, რომ კომპანია არანაირად არ არის დაინტერესებული, თავის კლიენტებს ზარები დაუბლოკოს.

პატიმრები დღემდე ვერ ახერხებენ ნინო ანდრიაშვილთან დაკავშირებას. რჩება მხოლოდ ერთი გზა – ადვოკატმა ნომერი გამოცვალოს, მაგრამ სანამ ახალ ნომერს ყველა პატიმარი გაიგებს, შესაძლებელია ადვოკატმა რეაგირება დააგვიანოს და პატიმრებს დახმარება დროულად ვერ აღმოუჩინოს.

არადა, პატიმრობის კოდექსის მიხედვით, პატიმარს აქვს სატელეფონო საუბრის და მიმოწერის უფლება. ეს არის ერთადერთი საშუალება, საჭიროების შემთხვევაში, პატიმრის ადვოკატთან დასაკავშირებლად.

# რა ხდება ქართულ პარტიაში

ნინო მეტრეველი

ირაკლი ოქრუაშვილი პარტიებს შლის და აწყობს, შლის და აწყობს. პრეზენტაციები და პარტიის სახეები თავიდან მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ ძალიან სწრაფად ჩნდება პრობლემები და ბედნიერი სახეებით გაერთიანებული ადამინები საზოგადოებისთვის გაურკვეველი მიზეზებით იშლებიან.

2007 წლის სექტემბერში შექმნილი მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის" მალე დატოვეს თავმჯდომარედ წოდებულმა გია თორთლაძემ და გენერალურმა მდივანმა გია ცაგარეიშვილმა, დამფუძნებლებმა კოკა გუნცაძემ, დავით კოღუაშვილმა, ნათია ლაზაშვილმა და ნანა ლეჟავამ. პარტიის გენერალური მდივანი ეკა ბესელია გახდა. ორი წლისთავზე ისიც დაემშვიდობა ყოფილ თავდაცვის მინისტრს. უფრო საინტერესო კი ის იყო, რომ ერთი წლის წინ საკუთარი პარტია თვითონ ირაკლი ოქრუაშვილმაც დატოვა და ახალი პოლიტიკური ძალა „ქართული პარტია" შექმნა.

დიდი ფინანსური სახსრებით და პოლიტიკური ამბიციებით შექმნილმა განსხვავებული პოლიტიკური წარსულისა და მიმართულებების ლიდერებმა ერთად დიდხანს ვერ გაძლეს. ამაყად დადებული პირობა, ამბიციები გადავდეთო, ვერ შეასრულეს და მაისში პარტია ლევან გაჩეჩილაძემ, კოკა გუნცაძემ და კახა მიქაიამ დატოვეს, სულ ახლახან კი თავად პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბარმა გააკეთა განცხადება პარტიის დატოვებაზე.

მთელ ამ ბაკქანალიაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ პარტიადატოვებულები გამოქცევის ნამდვილ მიზეზებზე არ საუბრობენ. თორთლაძემ და ცაგარეიშვილმა, უბრალოდ, პირში წყალი ჩაიგუბეს, ოდესმე დადგება ამის ლაპარაკის დროო, ეკა ბესელიამ – რაღაც პოლიტიკური შეუთანხმებლობა იყო პარტიაშიო, სოზარ სუბარი ამბობს, მაინცდამაინც საინტერესო არ არის, მიზეზი ბევრი იყოო. არც ცუდს ამბობენ, არც კარგს. რატომ? ცოტა გაურკვეველია. თუმცა, მოარული ხმები რატომღაც ყველა შემთხვევაში ფულს უკავშირდება და ოქრუაშვილიც თავისი როყიო განცხადებებით აქეთ მიანიშნებს, რიგ შემთხვევებში კი პირდაპირ ადებს ხელს ყოფილ თანაპარტიელებს.

ეკა ბესელიაზე „ოქროს" პარიზიდან არაფერი შემოუთვლია, თუმცა, მაშინდელი მოარული ხმებით, ბესელიასთან დახარჯულ ფულზე ჰქონდა პრეტენზია ოქრუაშვილს და ამ გარჩევებში აქტიურად იყო ჩართული ოქრუაშვილის „დაქალოჩკა" თეო ტლაშაძე, რომელიც „ერთიანი საქართველოდან" ირაკლის „ქართულ პარტიაში" გადაჰყვა. გაჩეჩილაძე-გუნცაძის პარტიიდან წასვლის მიზეზადაც ფინანსური გარჩევები დასახელდა. ოქრუაშვილმა პარიზიდან მოიკითხა, აბა, ბიჭებო, ამდენი ფული სად წავიდაო და ამას ლიდერების დაშლა მოჰყვაო. ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა მერე პირდაპირ დაადო ხელი ლევან გაჩეჩილაძეს, სააკაშვილისგან აიღო ფულიო. ახლა, ყოფილ სახალხო დამცველზეც იგივე ბრალდება გაისმა პარიზიდან, სოზარი კოტე გოგელიას ჯიბეზე ჩამოეკიდაო. თავად გოგელია პარტიიდან ოქრუაშვილმა, უბრალოდ, გარიცხა. საზოგადოებისთვის მიზეზების ახსნით არც ამ შემთხვევაში შეუწუხებია ვინმეს თავი.

ოქრუაშვილის გვერდით ყველას გამდიდრების სურვილი უჩნდება თუ „ოქროს" დაემართა ეჭვიანობა-აკვიატებები? ფაქტია, რომ ოქრუაშვილთან დიდხანს ვერავინ ძლებს. შაქარყინული არასოდეს იყო, მაგრამ, როცა მაღალ თანამდებობებზე ბრძანდებოდა და ლამის პირველ ხმას მღეროდა, მის უხასიათობას იტანდნენ. სხვა რა გზა ჰქონდათ, მაგრამ, ძალიან ხშირად გამოდიოდა ხმები მასსა და სააკაშვილს და მასსა და მერაბიშვილის შორის სერიოზულ, ცემა-ტყეპამდე მისულ გარჩევებზე. ეს ხასიათი თუ უხასიათობა პარიზშიც თან გაჰყვა, ისევე, როგორც როყიო განცხადება-დაპირებები. თუ თავდაცვის მინისტრობის დროს ახალი წლის ცხინვალში შეხვედრას გვპირდებოდა, მერე იყო „მრისხანების დღეები" და ორჯერ, კრიტიკულ დღეებში ჩამოსვლის „გამაზული" პირობები, რამაც საბოლოოდ დაანგრია მისი სტალინისეული იმიჯი.

სოზარ სუბარს „ქართული პარტიიდან" კოორდინატორებისა და პარტიის წევრების მთელი ჯარი გამოჰყვა, აქ სოზარის გამო მოვედით და სადაც ის, იქ ჩვენო. ვინ მართავს დღეს პარტიას, რთული სათქმელია. ეროსი კიწმარიშვილი კი არის ოქრუაშვილის კაპრიზების უსიტყვო შემსრულებელი, მაგრამ, ისეა გართული „მაესტროსთან" დაკავშირებული თავისი ფინანსური გარჩევებით, აღარც კი ახსოვს, პარტიის ლიდერი რომ არის. ოქრუაშვილი პარიზშია. სახლში მხოლოდ ქალები არიან – თეო ტლაშაძე და სოფიო ხორგუანი, პარიზული მითითებებით. ლიდერების პარტიიდან გაქცევის ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, ესეც იყო. ირაკლი ოქრუაშვილი პირველ ხმას ყოველთვის მარტო მღერის და სხვებს, ამყევითო, ავალდებულებს.

ლევან გაჩეჩილაძის გუნდის წასვლის შემდეგ „ქართული პარტია" იურიდიულად აღარც არსებობს, რადგან წასულები დამფუძნებელთა შორის არიან. პარტიას არსებობის გაგრძელებისთვის ხელახალი დაფუძნება, ყრილობა და თავმჯდომარის არჩევა სჭირდება.

ყრილობა 18 დეკემბერს მართლაც ტარდება, მაგრამ – სხვა ფორმატით. ირაკლი ოქრუაშვილმა თავისი ორი პარტიის „ერთიანი საქართველოსთვის" და „ქართული პარტიის" გაერთიანება ჩაიფიქრა. გაერთიანება საკმაოდ სოლიდურად ჟღერს. რეალურად ეს არის კარგა ხნის გასვენებული „ერთიანი საქართველოს" და სიკვდილის პირას მყოფი „ქართული პარტიის" გაერთიანება. რა პოლიტიკურ ძალას მიიღებს ამით ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ქართული პოლიტიკური ვინიგრეტი, მალე ვნახავთ.

ძალიან საინტერესოა, ვინ გამოჩნდება სკანდალებით ცნობილ განახლებულ პოლიტიკურ ძალაში, ვინ აიღებს თავზე მის პირველკაცობას. „ქართულ პარტიაში" ამბობენ, რომ ამაზე ჯერ კიდევ კონსულტაციები მიდის, მაგრამ სიურპრიზებს გვპირდებიან. იქ, სადაც ოქრუაშვილია, დაპირების გარეშეც უნდა ველოდოთ სიურპრიზებსა და სკანდალებს.

# ლიკა ყაზბეგი: „მინდა საქორწინო კაბების ჩვენება სიღნაღში მოვაწყო“

ეკა ირემაშვილი

15 დეკემბერს ლიკა ყაზბეგი საზოგადოებას უკვე მეოთხედ წარუდგენს პროექტს „წარმატებული ქალები პოდიუმზე“. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და ღონისძიების ორგანიზატორი ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებილ ცნობისმოყვარეებს 20 წარმატებულ ქალბატონს წარუდგენს. მათგან 10 ყველასთვის კარგად ცნობილი სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონი იქნება, 10 – კი სრულიად უცნობი, მაგრამ, როგორც თავად ლიკა ამბობს, საოცრად ლამაზი და მომხიბვლელი ქალბატონი.

რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ლიკა ყაზბეგის ტრადიციად ქცეული პროექტისგან, გამოიყვანს თუ არა წარმატებულ მამაკაცებს პოდიუმზე და როდის ვიხილავთ ყბადაღებულ შოკდეფილეს, ამ თემებზე ლიკა ყაზბეგი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ლიკა ყაზბეგი:**

– 15 დეკემბერს ვატარებ რიგით მეოთხე პროექტს „წარმატებული ქალი პოდიუმზე“. ეს არის ჩემი შვილობილი და ყველაზე საყვარელი პროექტი, რომელშიც ვდებ მთელ ჩემს გულს, სულს, გამოცდილებას, ენერგიასა და პროფესიონალიზმს. ვფიქრობ, არანაკლებ წარმატებული იქნება ამის შემდგომი პროექტი, რომელზეც მზადებას დეკემბრიდან, ამ ჩვენების დასრულებისთანავე ვიწყებ. მორიგი ჩვენება მარკეტინგებისა და პიარის წარმომადგენელთა პოდიუმზე გამოყვანას გულისხმობს. ამ ჩვენებაზე გავიყვან სხვადასხვა კომპანიის პიარმენეჯერებსა და მარკეტინგებს. ეს იქნება ძალიან საქმიანი ჩვენება, ამიტომ მინდა, ბანკის შენობაში, კერძოდ, თიბისი ბანკის გალერეაში მოვაწყო.

***– კიდევ რას გეგმავთ?***

– ისევ საქორწინო კაბების ჩვენებას, მერე ისევ წარმატებულ ქალებს პოდიუმზე. იდეები ამოუწურავი მაქვს და ფანტაზიაც არასოდეს მღალატობს.

***– წელს სად გამოიყვანთ წარმატებულ ქალბატონებს?***

– ჩვენ გვინდა, ყოველი ჩვენება განსხვავებული იყოს. წელს ავირჩიე საჯარო ბიბლიოთეკის შენობა, ულამაზესი შენობაა, რომელიც მეფის დარბაზს ჰგავს და, ვფიქრობ, ჩემს ქალბატონებს ზუსტად შეესაბამება. ჩვენ ვმოგზაურობთ სხვადასხვა დარბაზში, რომ ჩვენება საინტერესო იყოს.

***– ამ ჩვენებისთვის რამდენი ქალბატონი იპოვეთ?***

– მათი პოვნა არასოდეს მჭირდება. საკმარისია, ერთი სიუჟეტი გავიდეს ტელევიზიით ან ერთი სიტყვა დაიბეჭდოს პრესაში, რომ უკვე მირეკავს უამრავი ქალბატონი და მთავაზობს საკუთარ თავს. მაგრამ მირჩევნია, თვითონ შევარჩიო ეს ქალბატონები, ვიდრე მათ აირჩიონ საკუთარი თავი ამ ჩვენებისთვის. წელს მყავს 20 ქალბატონი.

***– რით არიან ისინი გამორჩეული?***

– სრულდება ჩემი დიდი ხნის ოცნება. ფოტოგრაფთა კლუბ „გრაფ. ჯის“ მეშვეობით მთელი ჯარი ემსახურება ჩემს პროექტს. ისინი უზრუნველყოფენ ჩემი პროექტის ფოტოსესიას. ჩემი ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია მისი დამფუძნებელი ვანო ფიცხელაური. გვინდა გავაკეთოთ ამ ქალბატონების ფოტოგამოფენა. ჩვენ ყოველდღე გვაქვს ფოტოსესიები, ვმუშაობთ დაახლოებით 2 თვის განმავლობაში. ისეთი საინტერესოა ფოტოსესიები, სულ დამავიწყა პოდიუმი. ფოტოგრაფები გამიგიჟდნენ, ისინი აღარ არიან თინეიჯერების გადამღები და მათთან მომუშავენი. „გრაფ. ჯის“ მიერ დამზადებული ფოტოები გამოიფინება პოდიუმის პარალელურად. მომსვლელ სტუმარს ორმაგი სანახაობა ელის – ფოტოგამოფენა და როგორ მოძრაობენ წარმატებული ქალბატონები პოდიუმზე. ისინი არიან სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და მათ წარვადგენ საზოგადოების წინაშე სრულიად სხვა ჭრილში. ეს მათთვისაც და ჩემთვისაც არის ერთგვარი ექსპერიმენტი. ზოგიერთი მათგანი ჩემსავით ავანტიურისტია, რაც მუშაობას კიდევ უფრო გვიადვილებს. მათთვის ეს ერთგვარი გამოწვევაა. წელსაც, როგორც შარშან და ყოველთვის, ამ ქალბატონების ნახევარი იქნება ცნობადი სახე, ნახევარი – უცნობი. არ დავმალავ და ვიტყვი სიმართლეს, რომ ის უცნობი ქალბატონები ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია. მინდა, ისინი სწორედ ჩემი პროექტით გავხადო ცნობადები. ძალიან ვამაყობ ჩემი ერთდღიანი მოდელებით. არ არის გამორიცხული, რომ მათ, წინა წარმატებული ქალბატონების მსგავსად, მომთხოვონ პოდიუმზე გამოსვლა მეორედ, მესამედ, მეოთხედ, რადგან პოდიუმსაც არანაკლები მტვერი აქვს, ვიდრე თეატრის სცენას, რომელიც, თუ ჩაყლაპე, მერე თავს ადვილად ველარ დაანებებ. ეს არ არის ერთდღიანი პროექტი, ეს გრძელდება მთელი წელი სასიამოვნო შეხვედრებით, აზრთა გაცვლით, ადრენალინით, მეგობრობით, საინტერესო ადამიანების გაცნობით, ახალი შთაბეჭდილებებით. ვიცი, რატომ უყვართ ამ ქალბატონებს ეს პროექტი და რატომ ვერ ელევიან.

***– რატომ?***

– ძალიან დიდი სიამოვნებით მოდიან და ემზადებიან, რომ მოვიდნენ, დაესწრონ და იხილონ წინა პროექტში მონაწილეებმა მორიგი წარმატებული ქალბატონების ოცეული. სულ მეკითხებიან, ვინ გამყავს, როგორები არიან. დიდი ინტერესი აქვთ, რომლის უკანაც ძალიან საყვარელი ბავშვური ცნობისმოყვარეობა დგას – ჩვენ ვჯობდით თუ ისინი გვჯობიანო.

***– ვინ ჩააცმევს თქვენს წარმატებულ ქალბატონებს?***

– სპეციალურად მათთვის ჩემმა უსაყვარლესმა დიზაინერმა ნინო გოგიბერიძემ შექმნა 20 ულამაზესი ყაბალახი. ძალიან მიყვარს ქართული ტანისამოსი, მეც მათ რიგში ვარ, ვინც პოპულარიზაციას უწევს ქართულ სამოსს. სალომე ამანათაშვილი ჩემს ქალბატონებს ფეხსაცმელსა და ჩანთებს მოარგებს, ხოლო თაკო რუხაძე მათ აქსესუარებსა და ვიზაჟზე იზრუნებს. თაკო პროექტის სტილისტი, ვიზაჟისტი და პარტნიორია, რომელიც საჩუქრად გადასცემს ამ ქალბატონებს თავის გაკეთებულ საყურეებს.

***– თქვენ არ იკერავთ კაბას?***

– მე ვიკერავ ქართულ თავადურ კაბას. ნინო გოგიბერიძე მიკეთებს ყაბალახს. ასეთი სილამაზის ყაბალახი არავის ექნება – ზედ ჩემი ლოგო ექნება ამოტვიფრული.

***– ჩვენებას საპატიო სტუმრები ეყოლება?***

– სტუმრებს შორის იქნება ცნობილი ამერიკელი პროდიუსერი იან რომანოვსკი. მან უკვე დაგეგმა, რომ 15-ში საღამოს იქნება ჩვენი სტუმარი. სხვა უცხოელი სტუმრებიც მრავლად გვეყოლებიან, ამიტომ გადავწყვიტე, რომ წელს პირველად საღამო უცხო ენაზეც წარიმართოს. წინა წლებში ბევრი უცხოელი სტუმარი გვყავდა, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, არ ესმოდათ, რაზე იყო საუბარი. ყოველთვის დადის ჩემს ჩვენებებზე ქალბატონი გიული ალასანია, ვიცი, რომ მგულშემატკივრობს, ამიტომ წელსაც გავუგზავნით მოსაწვევს, რომ მოვიდეს და ჩვენი პოდიუმი შეაფასოს.

***– ვინ წაიყვანს თქვენს საღამოს?***

– თათია პაჭკორიაა წამყვანი. ის ჩემი წინა პროექტების წარმატებული ქალბატონია, ამიტომ ახლა ის წამყვანი იქნება, მარიკა ჩანგიანი კი უცხოელებთან კონტაქტში დაგვეხმარება. წელსაც, ტრადიციულად, როგორც 17 წლის განმავლობაში, ჩვენს საღამოს გახსნიან სამოდელო სააგენტოს პატარა მოდელები. ყველაზე პატარა მოდელი 2 წლის თორნიკე ოდიშარიაა, რომელიც ქართულ ტანისამოსში – ჩოხაში იქნება გამოწყობილი.

***– ლიკა, რატომ დააწესეთ ამ პროექტში ასაკობრივი ზღვარი?***

– ასაკობრივი ზღვარი ჩვენთან დაწესებულია და თანაც მკაცრად – 30 წლის ქვემოთ ქალბატონები ჩვენთან არ დაიშვებიან.

***– ზედა ზღვარი სად მთავრდება?***

– ზედა ზღვარი არ არსებობს. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუკი ჩემს პროექტში მიიღებს მონაწილეობას ქალბატონი საინტერესო ბიოგრაფიით, ისტორიით, რომელიც იქნება თუნდაც 80 წლის, ოღონდ, იქნება ისეთ ფორმაში, რომ მოხიბლავს მაყურებელს. ხომ არიან ასეთი ქალები? მჯერა, რომ მათაც აუცილებლად ვიპოვი.

***– კიდევ როგორი ქალბატონი არ დაიშვება თქვენთან?***

– არ დაიშვება ქალბატონი, რომელიც არ არის მოვლილი და, სამწუხაროდ, რომელიც არ არის მომხიბვლელი. მე მაქვს ჩვენება, დეფილე, ამიტომ ეს მოთხოვნები უმთავრესია. ჩემი პროექტის გარდა, არის რამდენიმე ცერემონია, სადაც აჯილდოებენ წარმატებულ ადამიანებს, ბიზნესმენებს. იქ არანაირი პრიორიტეტი არ ენიჭება ვიზუალს. მე კი, რადგან პოდიუმის სახით ვთავაზობ ამ ქალბატონებს საზოგადოებას, ვალდებული ვარ, რომ საუკეთესო ქალები გამოვიყვანო ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით. ეს პროექტი მათ პასუხისმგებლობას ანიჭებს, რომ წარმატებული ქალბატონი არ უნდა მოდუნდეს, წარმატება არ უნდა დაკარგოს და მეტი გაქანება მისცენ თავიანთ საქმეს. ეს წინა მონაწილეებმაც მითხრეს. რომ დავფიქრდი, აღმოვაჩინე, თურმე ჩემს პროექტს ამდენი რამ შესძლებია. მე კი ყველაფერი უფრო ადვილად მეგონა – ერთ დღეს გადავაწყვიტე, ექსპერიმენტი ჩამეტარებინა, ერთი დღით პოდიუმზე თაობა შემეცვალა და პოდიუმზე მდგომი ბავშვების მაგივრად გამომეყვანა ქალები ისტორიით. ნამდვილად არ მეგონა, თუ ამდენი მონდომება და მოტივაცია ექნებოდათ ქალებს. პირველად ამ მოტივაციას ვუსმენდი ყურმოკვრით და შემთხვევით, ახლა უკვე თვითონ ვეკითხები და მაინტერესებს, რატომ გამოდის ჩემს პოდიუმზე. პასუხები ყოველთვის საინტერესოა. ბევრს ამ პროექტით უნდა ცხოვრების შეცვლა გარკვეულ ეტაპზე და ამ პოდიუმის ტრამპლინად გამოყენება. მათ აინტერესებთ საკუთარი თავი სხვა ამპლუაში. თვითონაც ასეთი ვარ – მინდა, ბევრი რამ შევისწავლო, გავაკეთო, ამით ცხოვრებას ვიმრავალფეროვნებთ მეც და ჩემი ქალბატონებიც. მომავალ წარმატებულ პროექტზე ალბათ გავყიდით ბილეთებს და გადავრიცხავთ რომელიმე ბავშვთა სახლში. მინდა, ეს ქალბატონები ქველმოქმედებაში ჩაერთონ.

***– უკვე რამდენი ქალბატონი გაიყვანეთ პოდიუმზე?***

– უკვე 60 ქალბატონი გავიყვანე პოდიუმზე. მინდა, როცა მათი რიცხვი 100-ზე ავა, ამოვკრიბო საუკეთესოები და მშვენიერი თაიგული შეიქმნება. ამ პროექტის გაკეთება დავიწყე ზაფხულში, მაგრამ ბოლო ორი ჩვენება მომიწია ზამთარში. მინდა, ისევ სითბოს დავუბრუნდეთ და 2012 წლის ქალბატონები გაზაფხულზე წარვადგინო – კონკრეტულად 8 მარტს მინდა დავამთხვიო.

***– ცნობილებიდან ვის ვიხილავთ წელს პოდიუმზე?***

– ნინო თოლორდავას, ჩვენი საინფორმაციოს წამყვანს, თეა დარჩიას, სუხიშვილების მოცეკვავეს, მაკა მიქელაძეს, მწერალს, ნანა ლორთქიფანიძეს, მსახიობს, სალომე გოგიაშვილს, ტელეწამყვანს, ნუკა კაციტაძეს, ხათუნა გაგნიძეს, ტელეწამყვანს, მარინა სალარაძეს, მსახიობს და მათთან ერთად 10 უცნობ ქალბატონს, რომლებსაც 15-ში გაიცნობს საზოგადოება. როგორც ყოველთვის, შეზღუდული მაქვს მოსაწვევები, რადგან ინტერესი დიდია და ყველას დაკმაყოფილება არ შემიძლია. მოსაწვევი მხოლოდ 500 ადამიანისთვის გვაქვს განსაზღვრული.



***– წარმატებული მამაკაცები რატომ არ გამოგყავთ პოდიუმზე?***

– სულ ვამბობ, მომიძებნეთ 10 წარმატებული მამაკაცი და გავაკეთებ-მეთქი. ამ ხუმრობა-ხუმრობაში მომიგროვდა 8 ადამიანი, დამრჩა ორი. მომავალ წელს, წარმატებული ქალების პარალელურად, აუცილებლად ჩავატარებ წარმატებული მამაკაცების პოდიუმსაც. ვგრძნობ, რომ ამის დრო ახლოვდება.

***– თქვენ რატომ რჩებით ყოველთვის პოდიუმს მიღმა? არ ხართ წარმატებული?***

– პირველად ვამბობ – მე მაქვს სცენის შიში. წელს ყაზბეგობის დღესასწაულზე მიწვეული ვიყავი ჩემი მოდელებით და გავაკეთეთ ჩვენება. ირაკლი მაისურაძე იყო წამყვანი და ძალისმიერი მეთოდებით გამიყვანა პოდიუმზე.

***– პოდიუმზე არასოდეს გამოსულხართ?***

– სულ ორჯერ ვარ გამოსული – ზალიკო ბერგერისა და ლალი მოროშკინას ჩვენებებზე. იქ კულისებში გოგოებმა ალკოჰოლური სასმელი მივიღეთ. ამან ძალიან გვიშველა, რომ თამამად გამოვსულიყავით. პირადად შემიძლია, არანორმალურად მოკლე დროში მოვხსნა ადამიანს ყველანაირი შიში, დაძაბულობა, კომპლექსი, ვასწავლო სიარული და გავისტუმრო პოდიუმზე, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ. იმედი მაქვს, რომ დადგება დრო და ლიკა ყაზბეგიც გამოვა პოდიუმზე.

***– პოდიუმზე გამოსვლის წინ ალკოჰოლის მიღება თქვენთვის მისაღებია?***

– რატომაც არა, ოღონდ – ზომიერად. პირველად ზალიკო ბერგერის ჩვენებაზე მივიღეთ ალკოჰოლი და, როცა ლალი მოროშკინას ბეწვეული ვაჩვენეთ, მოვუწოდე გოგონებს, დაგველია სასმელი. ისეთი ვიყავი, პოდიუმიდან არ მინდოდა გამოსვლა, მაგრამ ამოიწურა ლალის ბეწვეული და კულისებში დავბრუნდი. წინა წელს ვუთხარი გოგონებს, თუკი ვინმეს გჭირდებათ, დალიეთ ერთი ჭიქა-მეთქი, მაგრამ, იყვნენ გოგოები, რომლებიც ერთ ჭიქას არ დასჯერდნენ და, როცა შევედი კულისებში, ორი კონიაკის ბოთლი იყო ცარიელი, თან მაშინ ესკალატორით ჩამოდიოდნენ გოგონები გრძელი საღამოს კაბებით. დღემდე ღმერთს მადლობას ვეუბნები, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად და კარგად ჩაიარა. ისე გამოვიდნენ პოდიუმზე, გადავრჩით, რომ კაბები არ ჩაჰყვათ ესკალატორში. მეორე დღეს ამ გამოსვლის მშვიდობიანად დასრულებას აღვნიშნავდით.

***– წარმატებულ ქალბატონებთან ურთიერთობა მერეც გაქვთ?***

– რა თქმა უნდა, ჩვენი მეგობრობა გრძელდება. არავინ დამეგობრებულა ისე, როგორც მესამე თაობის წარმატებული ქალბატონები. მიზეზი არ სჭირდებათ, რომ შეიკრიბნონ. ლაპარაკია 10 ქალზე. იმდენად დამეგობრდნენ, რომ ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ. კომპოზიტორ ნანა მესხს ახლად გაცნობილმა გოგონებმა გაუკეთეს არაჩვეულებრივი საღამო. ერთმანეთს ვეხმარებით, ბიძგს ვაძლევთ და ძალიან სასიამოვნო გაგრძელებები აქვს ამ პროექტს. პირველ რიგში სტიმულია მთავარი. ეს პროექტი ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის გავაკეთე, თუმცა, ფართო მასშტაბი მიილო და, დიდი იმედი მაქვს, რომ კიდევ უფრო გაფართოვდება.

***– უარს ამბობენ თქვენს პროექტში მონაწილეობაზე?***

– რა თქმა უნდა. ბევრი მიზეზი აქვთ. იმდენად საქმიანი ქალები გამომყავს პოდიუმზე, ვერ იცლიან. ბარბარე დვალიშვილი უზომოდ მიყვარს, მაგრამ დაემთხვა სპექტაკლები და წელს ამ პროექტში ვერ ჩავსვი. იმედი მაქვს, მომავალ წელს გამოვიყვან. არის შემთხვევა, როცა ქალაქში არ არიან, არის შემთხვევა, როცა ზედმეტი წონის გამო აქვთ კომპლექსი და დომინირებს ქართული აზრი, რას იტყვის სხვა, რომ გამოვიდე პოდიუმზე, როცა ვარ 5 კილოთი მეტი. თუმცა, უარს ხშირად არ მეუბნებიან.

***– ია სუხიტაშვილს აუსრულეთ თქვენს პოდიუმზე გამოსვლის ოცნება?***

– კი, შარშან ია საქორწილო კაბების ჩვენებაზე იყო წამყვანი და ბოლოს თეთრი კაბით გაიარა პოდიუმზე. ბევრ ქალს ვუსრულებ ოცნებას და ამით ბედნიერი ვარ. სხვათა შორის, გათხოვილან კიდეც ის გოგონები, რომლებმაც საქორწილო კაბების ჩვენებაში მიიღეს მონაწილეობა. სულ 6 გოგონაა ასეთი, ზოგი გათხოვდა, ზოგი – დაინიშნა.

***– ვის გამოყვანაზე ოცნებობთ პოდიუმზე?***

– ძალიან მინდა, გამოვიყვანო პოდიუმზე ეკა ჩხეიძე და მისი ულამაზესი გოგონა. მორიგი საქორწილო კაბების ჩვენება მინდა გავაკეთო სიღნაღში. აქ ასაკობრივი ზღვარი პირიქით გვაქვს – მაქსიმალური ასაკი იქნება 35 წელი. თეთრი კაბა პოდიუმზე უფრო ახალგაზრდა, 20-25 წლის ქალბატონებს უხდებათ.

***– ბევრს უნდა საქორწილო კაბის მორგება?***

– კი. ფიქტიური პატარძლების მთელი ჯარი მიდგას რიგში. ვინც წინა წლებში ვერ გამოვიყვანე, შემდგომ წლებში გამოვიყვან. ბევრი ქალი მთხოვს პოდიუმზე გაყვანას, მათ კი იმით ვამშვიდებ და ვაშოშმინებ, ყველა რომ ერთ წელს გაგიყვანოთ, მერე არავინ აღარ დამრჩება-მეთქი. რამდენიმე ქალი, ვინც სერიოზულად მოვწამლე პოდიუმით, მარკეტინგებისა და პიარების ჩვენებაში ჩავსვი, ზოგი გადავანაწილე საპატარძლო კაბებში. ვერ ვიტყვი, რომ თითო ქალს ორჯერ და სამჯერ გამოვიყვან პოდიუმზე, ეს ლამაზი ნამდვილად არ არის, როცა უამრავი ულამაზესი ქალბატონია საქართველოში. ამ არაორდინარული ჩვენებების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ხალხს მობეზრდა ერთი და იმავე მოდელების ნახვა პოდიუმზე. იმავეს გამეორებას არ ვაპირებ ნამდვილად. პირველადი პროფესიით ჟურნალისტი ვარ და მინდა, გადაცემა გავაკეთო რადიოში ან ტელევიზიაში, წარვადგინო ის ადამიანები, რომლებიც პოპულარული არ არიან, მაგრამ ნამდვილად საინტერესო არიან. ბევრი მეგობარი მყავს ჟურნალისტი და, როცა მათთვის ეს პიროვნებები შემითავაზებია, უთქვამთ, ჩემს პროდიუსერს პოპულარული ადამიანი სჭირდებაო. არადა, ზოგიერთი ისეთია, ჯიბეში ჩაისვამს ზოგიერთ „ვარსკვლავს“. ოდესღაც ხომ უნდა გახდნენ ესენიც ცნობილი? როგორმე ეს კედელი ხომ უნდა გაარღვიონ? ჩემი უახლოესი მეგობარი ნიკა წულუკიძე ამბობს, ძალიან ადვილია, პოპულარული გავხდე, გავიხდი, ქუჩაში გამოვალ და უკვე პოპულარული ვიქნებიო. მინდა, ჟურნალისტებს გთხოვოთ, მიაქციოთ იმ ულამაზეს უცნობ ქალბატონებს ყურადღება, რომლებიც მართლა საოცრებები არიან და ჩემს პოდიუმზე გამოვლენ. ასეთი ლამაზი მოდელები თვით ფეშენ ვიკებზე არ გაჰყავთ, არც ერთ სააგენტოს არ ჰყავს ასეთი ლამაზი ქალბატონები, მათ შორის, არც მე. ნუკი ედიბერიძე, ირინე მირიანაშვილი, ელენე კაჭარავა, ქეთი ნიჟარაძე, ნანა კიკნაძე, მარიკა ჩანგიანი ულამაზესები არიან.

***– ლიკა, თქვენი შოკდეფილე რატომ აგვიანებს?***

– ეს ყბადაღებული თემაა და მეც კი დავიღალე ამ შოკდეფილეს ლოდინში.

***– რა გიშლით მის ჩატარებაში ხელს?***

– თუნდაც შეკვეთები, თუმცა მინდა, რომ შეკვეთები ხელს მიშლიდეს. ჩემი მნიშვნელოვანი და უკვე ცნობილი პროექტების გარდა, ვაკეთებ პრეზენტაციებს, ჩვენებებს, რომელიც ჩემთვის მომგებიანია, ამ წინადადებებზე უარს ვერ ვამბობ. რადგან ვიცი, რომ შოკდეფილეს ჩემ გარდა ვერავინ გააკეთებს და ამ იდეას ვერავინ მოიპარავს, მშვიდად ვარ. შოკდეფილეს ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ის არის, რომ მასობრივად ბევრი ადამიანი გამოვა, მაგრამ ერთხელ და შოკისმომგვრელად. ამ პროექტში მინიმუმ 100 ადამიანი უნდა იყოს ჩართული.

***– უკვე გყავთ ეს 100 ადამიანი?***

– კი. ბევრი ადამიანი აღმოვაჩინე, ვიპოვე, გავიცანი. რაოდენობა ნამდვილად მჭირდება შოკდეფილესთვის.

***– ხომ არ გაიფანტებიან?***

– არა, ჩვენ ვართ კონტაქტზე და მელოდებიან მოთმინებით.

***– მაინც რით იქნება ეს დეფილე შოკისმომგვრელი?***

– ყველაფრით – სიგრძით, სიმაღლით, სიგანით, კოსტიუმით, გარეგნობით, არაორდინარული გამოსვლით. ეს იქნება შოკისმომგვრელი დეფილე ყველა მიმართულებით. ჩემი პროექტები ამოუწურავია. სულ იმას ვამბობ, ერთი ლიკა აღარ ჰყოფნის ჩემს საქმეებს, ბევრი ლიკა მინდა, თითოეულს თითო პროექტს მივამაგრებდი და დავისვენებდი-მეთქი.

# თემურ ქეცბაია: „კვიპროსული საკლუბო ფეხბურთი სანაკრებოს სჯობია“

საქართველოს ნაკრების მწვრთნელ თემურ ქეცბაიას რუსი ჟურნალისტები გაესაუბრნენ. მათი მიზანი იყო, ახლოს გაეცნოთ ჩემპიონთა ლიგის მთავარი აღმოჩენა, კვიპროსული „აპოელი“. და რა შუაშია აქ ქეცბაია? პირველად კვიპროსულ კლუბს წარმატება სწორედ ჩვენებურმა მოუტანა, როდესაც „ანორთოსისი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოახვედრა და ახლოს იყო პლეიოფში გასვლასთან. საერთოდ, ქეცბაია კარგად იცნობს კვიპროსულ ფეხბურთს და რუსი ჟურნალისტების დაინტერესებაც აქედან წამოვიდა.

***– 3 წლის წინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე პირველი კვიპროსული კლუბი მოხვდა – თქვენ მიერ გაწვრთნილი „ანორთოსისი“. ახლა კი „აპოელი“ პლეი ოფში გავიდა. საქმე კვიპროსული საკლუბო ფეხბურთის ფენომენთან გვაქვს?***

– მას შემდეგ, რაც კვიპროსი ევროკავშირში შევიდა, ადგილობრივმა კლუბებმა უცხოური ფეხბურთელების მოყვანა თამამად დაიწყეს. როდესაც კვიპროსზე სათამაშოდ მე ჩავედი, მაშინ ასეთი პირობები არ არსებობდა. ახლა აქ 5-6 კლუბი მაღალ პროფესიულ დონეზე მუშაობს. თუნდაც სამი წლის წინ კი ასე არ ხდებოდა. თუმცა, იმ დროს უფრო ძნელი იყო ლიგის ჯფუფურ ეტაპზე მოხვედრა. მიშელ პლატინის რეფორმების შემდეგ კი შედარებით გაიოლდა. დიდი როლი ითამაშა კვიპროსულ კლუბებში კარგი უცხოელი ფეხბურთელებისა და ძლიერი მწვრთნელების ჩამოსვლამ.

***– მაინც რით გამოიხატება კლუბების პროფესიონალურად მუშაობა?***

– კარგი სელექცია, მწვრთნელების კვალიფიკაცია, მინდვრებისა და ბაზების გაუმჯობესება – ყველა ამ ფაქტორმა ქვეყანაში ფეხბურთი განავითარა. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ტენდენცია: ფეხბურთელები, რომლებიც ევროპის ძლიერ ქვეყნებში თამაშობენ, კარიერის მიწურულს ისეთ ქვეყნებში ჩადიან, როგორიც კვიპროსია. „აპოელი“ უკვე მეორედ მონაწილეობდა ჯგუფურ ეტაპზე, 3 წლის წინ კი „ანორთოსისმა“ გამოიჩინა თავი. ამასთან, კვიპროსული გუნდები კარგად გამოიყურებიან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც. მაგალითად, ლარნაკის აეკ-ს ჯგუფიდან გასვლა შეუძლია.

***– „აპოელზე“ უფრო ვრცლად მოგვიყევით.***

– მშვენივრად დაკომპლექტებული კლუბია, რომელსაც თითქმის 4 წელია, ერთი მწვრთნელი ჰყავს. იგრძნობა საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება. ზოგი ამბობს, „აპოელის“ წარმატება შემთხვევითი მოვლენააო, თუმცა, შემთხვევები ხდება ერთ-ორ მატჩში. „აპოელმა“ კი ჯგუფური ეტაპი მოილია და მერვედფინალის საგზური გაინაღდა, თანაც, ჯგუფში ჰყავდა პორტუგალიის, რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონები. ეს მხოლოდ იღბალი კი არა, კლუბის მწვრთნელებისა და ფეხბურთელების



კარგად მუშაობის შედეგია. „აპოელის“ მერვედფინალში გასვლა მთლიანად კვიპროსული ფეხბურთისთვის დიდი წარმატებაა.

***– როგორც თქვით, კვიპროსულ კლუბებს ძლიერი უცხოელი მწვრთნელების ჩამოყვანა დიდად წაადგათ. თუმცა, ყველა წარმატებული მწვრთნელი ლეგიონერია. ხომ ასეა?***

– დიახ. ყველა კვიპროსული კლუბი უცხოელი მწვრთნელის ხელში აღწევს წარმატებას. თუმცა, არიან ადგილობრივი სპეციალისტებიც, რომლებსაც კარგი პერსპექტივა აქვთ.

***– გინდათ თქვათ, რომ უახლოეს დროში რომელიმე კვიპროსელი მწვრთნელიც გამოიჩენს თავს?***

– სავსებით შესაძლებელია. კვიპროსის ჩემპიონატის დონე საკმაოდ მაღალია და, თუ ასეთივე ტემპით გააგრძელებს პროგრესს, კვიპროსი, ალბათ, გადაასწრებს შვეიცარიას და ორ გუნდს გაიყვანს ჩემპიონთა ლიგაში. ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისის მიუხედავად, კვიპროსმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკლუბო დონეზე სერიოზულ პროგრესს მიაღწია. ეს მთლიანად ქვეყნისთვისაა წინსვლა და, ვფიქრობ, პროცესი გაგრძელდება.

***– კვიპროსის ნაკრების პროგრესსაც ველოდოთ?***

– ეს უკვე სხვა საკითხია და მეეჭვება, რადგან წარმატებულ კვიპროსულ გუნდებში ლეგიონერები ჭარბობენ. როდესაც გუნდებში მეტწილად კვიპროსელები თამაშობდნენ, ასეთი შედეგიც არ ჩანდა. ახლა კვიპროსელ ლეგიონერს ევროპაში თითქმის ვერ ნახავთ, თითქმის ყველანი სამშობლოში არიან. ამასთან, თავიანთი გუნდის ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი არ აქვთ. ეს კი ნაკრებისთვისაა ცუდი. ვფიქრობ, 2-3 წელიწადში კვიპროსის ნაკრებისთვის კიდევ უფრო დამძიმდება სიტუაცია. თუ იქაურ ფეხბურთის ფედერაციას ეროვნული გუნდის პროგრესი სურს, რაღაც უნდა შეცვალოს. ამ ეტაპზე კი კვიპროსზე საკლუბო ფეხბურთი სერიოზულად ჩრდილავს ნაკრებს.

***– ხალხი როგორ აღიქვამს „აპოელის“ წარმატებას?***

– ნებისმიერ წარმატებას დიდი სიხარულით ხვდებიან. „ანორთოსისისა“ და „აპოელის“ გარდა, კვიპროსზე სხვა ძლიერი გუნდებიც არიან. მაგალითად, „ომონია“ და „აელი“, რომლებიც ჩემპიონატს ლიდერობენ. ის, რომ „აპოელი“ ამჟამად ჩემპიონატში მესამე ადგილზეა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იქაური ჩემპიონატის სიძლიერეს. რა თქმა უნდა, ყველა გუნდს თავისი გულშემატკივარები ჰყავს, თუმცა მათ კონკურენტის ევროპული წარმატებაც უხარიათ. „აპოელისა“ და „აელის“ მატჩებს სხვა გუნდის ქომაგებიც ესწრებიან, ეს კი ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმულია. როცა 800.000-მდე მცხოვრებია და სტადიონზე 25.000 კაცი მოდის, უკვე ბევრს ნიშნავს.

***– და მაინც, კონკრეტულად რის ხარჯზე აღწევს „აპოელი“ ასეთ წარმატებას ევროპაში?***

– რა თქმა უნდა, ასეთ სერიოზულ ტურნირზე გამართლების გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ, მაგრამ, უკვე ვთქვი, რომ საქმე მხოლოდ იღბალში არაა. სხვა გუნდებისგან განსხვავებით, „აპოელი“ ფეხბურთელთა ბირთვს ინარჩუნებს და გუნდიც შეთამაშებულია. თითქმის ოთხი წელია, რაც ერთი და იმავე შემადგენლობით თამაშობს. იშვიათად ერთიორი გადანაცვლება თუ მოხდა. ერთ დროს „ანორთოსისიც“ ასე თამაშობდა, ჰყავდა ბირთვი. თუმცა, ბოლო სამ წელიწადში ამ გუნდში 10 მწვრთნელი და 40 თუ 50 ფეხბურთელი გამოიცვალა.

***– ახლანდელი „აპოელი“ თქვენი გაწვრთნილი „ანორთოსისისგან“ რით განსხვავდება?***

– ორივემ იცოდა, როგორ უნდა ეთამაშა, რათა წარმატებისთვის მიეღწია. ვერ ვიტყვი, რომ „აპოელი“ და „ანორთოსისიც“ მკვეთრად შემტევი გუნდები არიან, თუმცა, მათ დაყენებული თამაში აქვთ. სამი წლის წინანდელი „ანორთოსისისა“ და ახლანდელი „აპოელის“ შედარება ძნელია, რადგან მეტოქეებიც განსხვავებული ჰყავდათ და პირობებიც არათანაბარია. შესაძლოა, ძლიერმა ევროპულმა კლუბებმა რაღაც მომენტში ვერ დააფასეს კვიპროსული გუნდები. თუმცა, ეს ნამდვილად არაა გადამწყვეტი ფაქტორი. „აპოელი“ გავიდა იმ ჯგუფიდან, სადაც ბოლო ადგილზე დარჩა „შახტარი“ – 150-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე კლუბი. ყველა კვიპროსული კლუბის ბიუჯეტი ერთად რომ შევკრიბოთ, „შახტარისას“ მაინც ვერ გაუტოლდება. მოკლედ, უკვე ვთქვი, წარმატების მთავარი მიზეზი მიზანდასახული და პროფესიონალური მუშაობაა.

***– რა პერსპექტივა აქვს „აპოელს“ ლიგის მერვედფინალში?***

– რთული კითხვაა. ყველაფერი დამოკიდებულია კენჭისყრაზე. ერთს ვიტყვი, რომ „აპოელის“ წინააღმდეგ თამაში ყველას გაუჭირდება. თავიდან ამბობდნენ, რომ „აპოელი“ ჯგუფში ბოლოზე გავიდოდა, მერე ამბობდნენ, იქნებ, ევროპის ლიგაზე მოხვდნენო, ახლა კი გუნდი ჯგუფიდან გასულია. სულაც არ გამიკვირდება, რომ მათ კიდევ ერთი სიურპრიზი შემოგვთავაზონ.

***– უახლოეს წლებში კიდევ უნდა ველოდოთ კვიპროსიდან „ახალი ანორთოსისისა“ და „ახალი აპოელის“ გამოჩენას?***

– ახლა ჯგუფში შესვლა შედარებით გაიოლდა. ადრე შეიძლებოდა, ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე იტალიის, ინგლისის, ესპანეთისა და გერმანიის გუნდი შეგხვედროდა. კვიპროსზე ოთხი გუნდია, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძვიან. თუ ლიდერი კლუბები ეკონომიკურ სტაბილურობას შეინარჩუნებენ, უახლოეს წლებშიც უნდა ველოდოთ კარგ შედეგებს.

# ლიონელ მესი: „ჩემთვის მთავარი საკლუბო წარმატებაა“

„ელ კლასიკო“ – ამით ყველაფერია ნათქვამი. დღეს მთელი მსოფლიო ამ მატჩის მოლოდინშია. „კლასიკოზე“ საუბრობს კატალონიური გრანდის ლიდერი ლეო მესიც, რომლის ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– მალე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი დაიწყება. რას ნიშნავს ეს ტურნირი თქვენთვის?***

– მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგება უაღრესად მნიშვნელოვანია. ბოლო საკლუბო მუნდიალიდან კარგი მოგონებები დაგვრჩა. იმედია, წელსაც გავიმარჯვებთ.

***– ზოგიერთმა თქვენმა თანაგუნდელმა განაცხადა, რომ „ბარსელონა“ ვალდებულია, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგოს. ეთანხმებით მათ?***

– ჩვენ ყოველთვის გამარჯვება გვმართებს. ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. თავს მოდუნების უფლება არ უნდა მივცეთ, რადგან ფინალში ყოველთვის ფავორიტები ვერ გადიან. მაგალითად, 2010 წელს „ინტერი“ ფინალში გავიდა, „ინტერნასიონალი“ კი ნახევარფინალიდან გამოეთიშა ტურნირს.

***– სანამ იაპონიაში ჩახვალთ, რამდენიმესაათიანი ფრენა მოგიწევთ. ეს ფაქტორი გუნდის თამაშზე ხომ არ აისახება?***

– იაპონიასთან შესაჩვევად დრო საკმარისად გვექნება. იქ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავალთ. ისე, ხანგრძლივ გადაფრენებს უკვე მიჩვეული ვარ, რადგან არგენტინაში ჩასვლა არცთუ იშვიათად მიწევს.

***– რამდენიმე დღეში „ელ კლასიკო“ გაიმართება, შემდეგ კი საკლუბო მუნდიალია. „ბარსელონა“ ფორმის პიკში შეხვდება ამ ორ მნიშვნელოვან მატჩს?***

– ვიცით, რა შეგვიძლია. რა თქმა უნდა, ძნელია ყოველთვის საუკეთესო ფორმაში ყოფნა, როდესაც ამდენ მატჩს ატარებ. კიდევ ვიმეორებ, ჩვენზე უკეთ არავინ იცნობს ჩვენს შესაძლებლობებს.

***– 10 დეკემბრის „ელ კლასიკოს“ მოუთმენლად ელით?***

– ფანტასტიკური მატჩი იქნება. ჩვენ მინდორზე მხოლოდ გამარჯვებისთვის გავალთ, რადგან ეს სეზონის მეორე ნახევრისთვის დიდ სტიმულს მოგვცემს. თუკი „რეალთან“ მატჩში საქმე ისე არ წაგვივა, როგორც გვსურს, არ უნდა მოვდუნდეთ, რადგან წინ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატია.

***– ბოლო დროს გვარდიოლა 3-4-3 ტაქტიკური სქემით თამაშობს. მინდორზე თავს კომფორტულად გრძნობთ?***

– ახლა მოედნის ცენტრში მეტი ფეხბურთელი გვყავს და ბურთსაც უკეთ ვაკონტროლებთ. ეს სწორედ ისაა, რასაც გვარდიოლა ითხოვს. სანამ ბურთი გვაქვს, მეტოქეს თავისი შესაძლებლობების გამოჩენის საშუალება არ მიეცემა და თავის ფეხბურთს ვერ ითამაშებს. გარდა ამისა, მეოთხე ნახევარმცველი შეტევის ხაზსაც ეხმარება და მცველებსაც უმსუბუქებს სამუშაოს.

***– უკვე მე-4 სეზონია, გუნდს გვარდიოლა წვრთნის.***

– ის „ბარსას“ საკვანძო ფიგურაა. მნიშვნელოვანი არა მხოლოდ მისი ყოველდღიური ვარჯიშებია, არამედ ისიც, თუ როგორ შეუძლია მას გუნდის მოტივირება. ის მცირე დეტალებსაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, მას სურს, რომ ექიმებთან ერთად ვივახშმოთ, რადგან მიიჩნევს, რომ ისინი ყოველთვის თვალყურს უნდა ადევნებდნენ ფეხბურთელებს. ეს და სხვა მცირე დეტალები ერთ ძლიერ გუნდს შეადგენს.

***– გვარდიოლას მოსვლის შემდეგ თქვენმა გუნდმა უბურთოდ მოძრაობა და თავისუფალი ზონების აქტიური ძიება ისწავლა?***

– დიახ, ეს ეჭვგარეშეა, მაგრამ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აქამდე „ბარსელონამ“ დიდი გზა გაიარა. უკვე იმდენი ხანია, ერთად ვთამაშობთ, რომ კარგად ვიცით, სად იქნება ბურთი 2-3 პასის შემდეგ.

***– დიდი შანსია, იანვარში „ოქროს ბურთი“ ზედიზედ მესამედ ჩაიბაროთ.***

– პრესტიჟული ტიტულების მოპოვება ყოველთვის სასიამოვნოა. მიუხედავად ამისა, მთავარი საკლუბო წარმატებაა. სასიამოვნოა, რომ კანდიდატებს შორის ჩემი თანაგუნდელი წელსაცაა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ლევან კობიაშვილი: „ფეხბურთელმა უნდა დაამტკიცოს, რომ კაპიტნობის ღირსია“

გერმანიის ბუნდესლიგაში ლევან კობიაშვილის „ჰერტა“ მის ყოფილ გუნდს, გელზერკირხენის „შალკეს“ შეხვდება. ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ემახსოვრებათ, რომ „კობიმ“ „შალკეში“ ექვს-ნახევარი სეზონი ითამაშა.

ამჟამინდელი და ყოფილი გუნდების მატჩის წინ ბერლინური კლუბის ვებ-გვერდზე ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

***– კმაყოფილი ხართ მიმდინარე სეზონში გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშით და შედეგით?***

– ბოლომდე კმაყოფილი ვერასდროს იქნები. ჩვენ ყოველთვის მაქსიმუმის მიღწევა გვსურს. სეზონის დასაწყისთან შედარებით, სატურნირო ცხრილში ქულები მოგვემატა და ვითარებაც დასტაბილურდა, მაგრამ ყოველთვის მეტი გვსურს. ამის გაკეთება კი ყოველი მატჩისას გვინდა. აქამდე განსაკუთრებული არაფერი გაგვიკეთებია.

***– საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ? სეზონის წინ ბევრი ამბობდა, რომ თქვენ უკვე ასაკოვანი და არცთუ სწრაფი ხართ პირველი ბუნდესლიგისთვის, თუმცა, ყოველ თამაშში აჩვენებთ, რომ არავითარი პრობლემა არ გაქვთ.***

– სეზონის დაწყებამდე მსგავსი რამ არაერთხელ მოვისმინე. პირველ ბუნდესლიგაში დიდი ხანია ვთამაშობ და კარგად ვიცი, ფორმა როგორ უნდა შევინარჩუნო. ჩემი ასაკიდან გამომდინარე, მოსამზადებელი პროცესი ადვილი არ ყოფილა, რადგან დიდი დატვირთვები გვქონდა, მაგრამ მაქსიმუმი გავიღე. ეს არაჩვეულებრივ ხასიათზე მაყენებს. თითოეული დღე, როდესაც ვარჯიში ან თამაში გვაქვს, ძალიან მომწონს.

***– კაიზერსლაუტერნში გუნდი მოედანზე კაპიტნის სამკლავურით გაიყვანეთ. ამ დროს რას გრძნობდით?***

– „ჰერტაში“ ყოფნის პერიოდში გუნდს პირველად ვუკაპიტნე. თუმცა, ჩემს ადრინდელ კლუბებში და ეროვნულ ნაკრებში კაპიტანი ხშირად ვყოფილვარ. ამის მიუხედავად, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, მით უმეტეს, რომ კაიზერსლაუტერნში ქულაც ავიღეთ. ყოველთვის ვამბობ – თითოეულმა ფეხბურთელმა საკუთარი თამაშით უნდა დაამტკიცოს, რომ კაპიტნის სამკლავურის ტარების ღირსია.

***– „ლევერკუზენის“ წინააღმდეგ შეხვედრაში პენალტი გააფუჭეთ. იმ მომენტში თქვენს გულში რა ხდებოდა?***

– არასასიამოვნო გრძნობა დამეუფლა. სამწუხაროდ, მართლაც არცთუ კარგად დავარტყი. ფეხბურთში მსგავი რამ ხდება. თუმცა, წამის შემდეგ ამაზე უკვე აღარ ვფიქრობდი და მატჩის ბოლომდე კონცენტრირებული ვიყავი.

***– „შალკეს“ კარში პენალტი რომ დაინიშნოს, კვლავ მიხვალთ მის დასარტყმელად?***

– კარგი კითხვაა. ვერ გეტყვით. ეს ჩემ მიერ გაცუდებული პირველი პენალტი არ ყოფილა. ყოველი ასეთი შემთხვევის მერე რომ მეთქვა, პენალტს აღარ დავარტყამ-მეთქი, მაშინ უკვე დიდი ხანია, დარტყმულიც არ უნდა მქონდეს. თუ თამაშის დროს ვინმე ამბობს, რომ პენალტის შესრულება სურს, მას ვენდობი და შეუძლია დაარტყას. ყოველთვის მე ხომ არ დავარტყამ.

***– ყოფილ კლუბთან შეხვედრას როგორი განწყობით ხვდებით?***

– ბუნებრივია, ეს მატჩი გაცილებით სხვა დატვირთვას ატარებს, ვიდრე ბუნდესლიგაში ჩასატარებელი ერთ-ერთი რიგითი შეხვედრა. ამ კლუბში საუცხოო პერიოდი გავატარე და იქ ჯერ კიდევ დამრჩნენ მეგობარ-ნაცნობები. მატჩს მოუთმენლად ველი. თუმცა, მოედანზე მხოლოდ საკუთარ თამაშზე კი არ ვიქნები კონცენტრირებული, არამედ, „ჰერტასთვის“ და გამარჯვებისთვის მაქსიმუმს გავაკეთებ. ყოფილი კლუბების წინააღმდეგ ყოველთვის ასე ვთამაშობდი.

***– „შალკესთან“ თამაშისგან რას ელით?***

– „შალკეს“ დამარცხების კარგი შანსი გვაქვს. მეტოქეს ძალიან კარგი დაცვის ხაზი აქვს, მაგრამ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ძლიერი გუნდებისთვის გოლების გატანა შეგვიძლია. „შალკეს“ წინააღმდეგ აგრესიულად და გამართული ტაქტიკით უნდა ვითამაშოთ. ასეთ შემთხვევაში მეტოქის დამარცხების კარგი შესაძლებლობა გვექნება. ჩვენ ყოველთვის გვინდა, მაქსიმუმს მივაღწიოთ. ასე იქნება პარასკევს და ნებისმიერ სხვა შეხვედრაში. თამაშის მოგება და ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება გვინდა. ჩვენი კლუბისთვის და გულშემატკივრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია. მის მოსაგებად ყველაფერს გავიღებთ.

ბატონ გურამ ჯავახიას

საყვარელო გურამ მასწავლებელო, გილოცავთ ორჯერ 35 წლისთავს. სამი ათეული წელია მომავალ რკინიგზელებს მრავალტანჯული ჩვენი ქვეყნის ისტორიას ასწავლით. „თქვენი სტუდენტობა საამაყოა ბატონო გურამ!“ – ამბობენ თქვენი მსმენელები.

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

თქვენი მსმენელები, რკინიგზელები

## ორშაბათი 12 დეკემბერი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.50 10 პლუს 10 15.00 ჩვენი ფერმა 15.30 ჩვენი სამართალი 17.00 დოკ. ფილმი "სამყარო" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერიალი **"მეორე შანსი"** 21.00 სერიალი **"ნიკიტა"** 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფილმი **"წმინდანი"** (18) 03.35 მხ. ფილმი **"საბედისწერო რვიანი"** (12) (გ. პელტროუ)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 სერიალი **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"პოსეიდონის თავგადასავალი"** 21.30 დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"ნორმალური ცხოვრება"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი **"როსალინდა"** 11.00 სერიალი **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერიალი **"ავრორა"** 18.45 სერიალი **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 ჯეოსტარი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერიალი **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერიალი **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერიალი **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერიალი **"დამალული სიმართლე"** 22.00 მხ. ფილმი 23.50 მუს. ლიგა 01.15 მხ. ფილმი **"რა სურთ ქალებს"** (მ. გიბსონი) 03.50 მხ. ფილმი **"მტრის საწოლში"** (12) (ჯ. რობერტსი) 06.30 სერიალი **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 08.55 სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერიალი **"არაბული ღამეები"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერიალი **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"შოკის შემდეგ"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერიალი **"ექიმი ქმორი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.10 სერიალი 12.50, 19.35 სერიალი 15.15 სერიალი **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"ვერის უბნის მელოდიები"** 13.30 კონცერტი – ანს. "ნიყინარი და სახიობა" 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი **"ბნელ ოთახში"** 16.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"ჟუჟუნას მზითევი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სღვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "ქართული კინოს მატიანე" 22.35 დოკ. ფილმი "აბიბოს ნეკრესელი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. ფილმი "წყარო გზის პირას" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა

## სამშაბათი 13 დეკემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 აუდიტორია 15.00 სერ. **"ნიკიტა"** 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 სერ. **"ნიკიტა"** 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.50 მხ. ფილმი **"ბრაუნინგის ვერსია"** (12) 01.55 კავკასუს ლაივი 02.55 მხ. ფილმი **"წმინდანი"** (ვ. კილმერი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"პოსეიდონის თავგადასავალი"** 21.30 ევროკავშირი და საქართველო 01.00 მხ. ფ. **"მედგარი გული"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ვანოს შოუ 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 მეალომანია 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 ბიზნეს ლიდერი 00.30 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.50 მხ. ფ. **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) 04.10 მხ. ფ. **"უკანასკნელი ლეგიონი"** (კ. ფერტი) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"სამყაროს შექმნა"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"შოკის შემდეგ"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.30 დოკ. ფილმი 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.15 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 დოკ. ფილმი 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "ქართული კინოს მატიანე" 11.00 სღვთისმეტყველო საუბრები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ჟუჟუნას მზითევი"** 13.35 კონცერტი – ნიჭიერთა ათწლედი რომში 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი **"ამისტადი"** 1-ლი ნ. 16.40 კონცერტი – პოლ მორია 17.10 დოკ. ფილმი "წმინდა მეფე ვახტანგ დიდი გორგასალი" 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"ვინ შეკაზმავს ცხენს"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 დოკ. ფილმი "წმინდა ანდრია მოციქული – ქრისტეს პირველი მქადაგებელი საქართველოში" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ. ფილმი **"ერინ ბროკოვიჩი"** 1-ლი ნ.

## ოთხშაბათი 14 დეკემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 15.00 სერ. **"ნიკიტა"** 16.55 **ფეხბურთი**. საქ. ჩემპიონატი. ზესტაფონი-დინამო 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 სერ. **"ნიკიტა"** 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ევროკავშირი და საქართველო 23.40 მხ. ფილმი **"ტყე"** (15) 01.35 მოამბე 01.55 მხ. ფილმი **"ბრაუნინგის ვერსია"** (12) 03.40 მხ. ფილმი **"ლურჯი მაისურები"** (ნ. ნოლტი)

08.00, 00.40 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"ტუტანჰამონის წყევლა"** 01.00 მხ. ფილმი **"ბოულინგის მეფე"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 "ფორმაში" 23.00 თბილისი ლაივი 00.00 ფლეშმობშოუ 01.30 მხ. ფილმი **"შურისძიება"** (15) (კ. კოსტნერი) (სუბტ.) 03.55 მხ. ფილმი **"ლომის გული"** (ჟ. ვანდამი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"სამყაროს შექმნა"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"კამელოტის ქალები"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.15 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.00 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.35 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 10.55 დოკ. ფილმი "წმინდა ანდრია მოციქული – ქრისტეს პირველი მქადაგებელი საქართველოში" 11.25 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ვინ შეკაზმავს ცხენს"** 13.30 კონცერტი – "მძლევარი" 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი **"ამისტადი"** მე-2ნ. 16.45 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** 1-ლი ნ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 მოკლ. ფილმი **"ბზიანეთი"** 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 00.40 პერსპექტივა 01.00 განთიადის სტუმარი 01.40 მხ. ფილმი **"ერინ ბროკოვიჩი"** მე-2ნ.

## ხუთშაბათი 15 დეკემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ევროპული არჩევანი 13.50 აღმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" 15.00 სერ. **"ნიკიტა"** 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 სერ. **"ნიკიტა"** 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.00 სი ბემოლი 01.20 საფარი 01.50 მხ. ფილმი **"ჭეშმარიტი სახე"** (12) (ჯ. სპეიდერი) 03.50 მხ. ფილმი **"ტყე"** (15)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"ტუტანჰამონის წყევლა"** 01.00 მხ. ფილმი **"სამოქალაქო სარჩელი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ჯეოსტარის კონცერტი (გან.) 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 პროფილი 23.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 2"** 00.00 ავტობიოგრაფია 00.40 რემონტი 01.30 მხ. ფილმი **"ობობა"** (18) (რ. ფაინსი) (სუბტ.) 03.35 მხ. ფილმი **"პირდაპირი მოქმედება"** (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"სამყაროს შექმნა"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"კამელოტის ქალები"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.00 დოკ. ფილმი 10.40 სცენა 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.15 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.00 სცენა 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** 1-ლი ნ. 13.30 კონცერტი – ნანა კალანდაძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 მხ. ფილმი **"ელენე, ტროას დედოფალი"** 1-ლი ნ. 16.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 დრო და ტრადიციები 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** მე-2ნ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 დოკ. ფილმი "წმინდა ისე წილკნელი" 21.35 აქტუალური თემა 22.25 დოკ. ფილმი "ოვალური ბურთი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. ფილმი **"მიხა"** 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კონცერტი – სტეფან გრაპელი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

## პარასკევი 16 დეკემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 თოქ-შოუ "არენა" 13.50 მაესტრო 15.00 სერ. **"ნიკიტა"** 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 ვინ არის ოლივერი 22.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 კავკასუს ლაივი 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი **"ვარდისფერი სიზმრები"** 02.40 მოამბე 03.00 მხ. ფილმი **"ჭეშმარიტი სახე"** (12) (ჯ. სპეიდერი) 05.00 მხ. ფილმი **"დიდი ღამე"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 13.00 **ძიუდო**. პეკინის გრან-პრი. ფინალები 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"ზამთრის ბუნიობა"** 01.00 მხ. ფილმი **"შიდა გამოძიება"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 პროფილი (გან.) 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ბიზნეს-ლიდერი (გან.) 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.00 თოქ-შოუ 00.40 ღამის შოუ (გან.) 02.05 მხ. ფილმი **"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** (ო. ჰეპბერნი) (სუბტ.) 04.05 მხ. ფილმი **"შიშის აჩრდილი"** (12) (მ. დევისი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"სამყაროს შექმნა"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"კამელოტის ქალები"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.15 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 13.00 სამედიცინო პროექტი 13.30, 21.00 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 სერ. **"ეს მაფიაა"** 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 დოკ. ფილმი "ოვალური ბურთი" 11.00 მოკ. ფილმი **"მიხა"** 11.35 აქტუალური თემა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** მე-2ნ. 13.30 კონცერტი – ლ. ნემსაძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 მხ. ფილმი **"ელენე, ტროას დედოფალი"** მე-2ნ. 16.50 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"ნინო"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე

## შაბათი 17 დეკემბერი

07.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.15 ან. ფილმი 09.45 საბ. ფილმი **"სკუბი დუ"** 11.15 ვაკაპედია 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 მხ. ფ. **"წკიპურტები"** 14.00 **კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატი 16.30 ჩვენი სამართალი 17.00 დამზადებულია საქართველოში 17.30 მედ-ინფო 18.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 19.00 პირველი ტელევიზია 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 მაესტრო 23.00 10 პლუს 10 00.00 ავტოპილოტი 01.00 მოამბე 01.20 მხ. ფილმი **"სეიფების გამტანი"** (რ. დე ნირო) 03.40 წითელი ზონა 04.40 მხ. ფილმი **"ვარდისფერი სიზმრები"** 06.30 მხ. ფილმი **"რწმენის ნახტომი"**

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 13.00 **ძიუდო**. პეკინის გრან-პრი. ფინალები 15.00 ბრიფინგის დროით 17.30 ქართ. ფილმი **"ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა"** 19.00 საუკუნის პორტრეტები 19.30 ჩვენი სამართალი 20.00 მხ. ფილმი **"ზამთრის ბუნიობა"** 21.30 მხ. ფილმი **"უკან დედამიწაზე"** 23.00 მხ. ფილმი **"საბედისწერო რვიანი"**

08.00 კურიერი 08.30 ან. ფილმი 10.00 სერ. **"გაორება"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 "ჯეო-მეგზური" 13.00 ქართ. ფილმი 15.30 დასაქმდი და დაასაქმე (გან.) 17.00 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 სერ. **"სამხრეთის დედოფალი"** 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ავატარი" 08.35 ან. ფ. "ლეგენდა სიდიზე" 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ჯანმრთელობა 11.45 სერ. **"შუა ქალაქში"** 13.00 ავტობიოგრაფია 14.30 რემონტი 15.20 თბილისი ლაივი 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 ჯეოსელის გათამაშება 22.10 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.30 "ფლეშმობშოუ" 01.00 ფორმაში (გან.) 02.00 სერ. **"მხეცი"** 03.55 მხ. ფილმი **"ქალები"** (12) (მ. რაიანი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 11.30 პულსი 12.00 სერ. **"ბარნუმი"** 13.00 სერ. "პოლიციელთა ამბები" 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"კამელოტის ქალები"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 09.30 ესტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.15 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 13.30 "1 000 წვრილმანი" 15.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მუსიკა 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ქართ. ფილმი 23.00 მოგზაურის დღიური 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "ბზიანეთი" 10.40 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი **"ნინო"** 13.25 პერსპექტივა 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 ოპერა **"ბოჰემა"** 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 საქ. არქივიდან "ძველი ჰანგები" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ალბომი 19.40 მხ. ფილმი **"როცა აყვავდა ნუში"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 დრო და ტრადიციები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პოროტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან 00.35 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 01.00 მხ. ფილმი **"ჰამლეტი"** 1-ლი ნ.

## კვირა 18 დეკემბერი

08.00 ან. ფილმი 09.45 საბ. ფილმი **"კატები და ძაღლები"** 11.15 ვაკა-პედია 11.30 ჩვენი ექსპრესი 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 აივანი 13.30 დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" 14.00 ქართ. ტელეფილმი "ავთო ვარაზი" 14.30 სი ბემოლი 15.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური 16.30 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 17.55 **ფეხბურთი**. საქ. ჩემპიონატი. ოლიმპი-ზესტაფონი 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 სპიკერი 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 უცნობი მუსიკა 00.30 კონცერტი - ჯონ ბორნი 01.30 მოამბე 01.50 მხ. ფილმი **"არჩევნები"** (18) (მ. ბროდერიკი) 03.40 მხ. ფილმი **"სეიფების გამტანი"** (რ. დე ნირო)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა (დაიჯესტი) 13.00 **ძიუდო**. პეკინის გრან-პრი. ფინალები 15.00 მხ. ფ. **"ყასბის ცოლი"** 17.00 ისტორია 18.00 საუკუნის პორტრეტები 18.30 დოკ. ფილმი 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 მხ. ფილმი **"ადამსების ოჯახი"** 22.45 წითელი ზონა 23.40 მხ. ფილმი **"ვარდისფერი სიზმრები"**

08.00 "კურიერი" დაიჯესტი 08.30 ან. ფილმი 10.00 სერ. **"გაორება"** 11.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 17.00 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 18.30 სიცილის ზონა 19.00 შერეკილები (გან.) 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კურიერი პ. ს. 22.00 კომედი შოუ 23.00 დასაქმდი და დაასაქმე 00.00 მეალომანია 01.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 03.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.10 ან. ფილმი "ავატარი" 08.35 მხ. ფილმი **"ზოლიანი ჩემპიონი"** 10.30 ქართული სიმღერა 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 თავდაყირა 11.45 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.45 ნუცას სკოლა 14.30 სპეც. რეპორტაჟი 15.20 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 17.40 ეტალონი 18.40 მუს. ლიგა 20.30 იმედის გმირები 20.45 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 ღამის შოუ 00.20 ფეისკონტროლი 01.30 მხ. ფილმი **"ტრანსპორტერი 3"** (12) (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) 03.35 მხ. ფილმი **"დინების წინააღმდეგ"** (15) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 11.30 პულსი 12.00 სერ. **"ბარნუმი"** 13.00 სერ. "პოლიციელთა ამბები" 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"კლეოპატრა"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.15 სერ. **"ქალი გაიცნობს"** 15.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.00 ქართ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 19.35 სერ. 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

ჩემი ქალაქი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.25 პოროტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან 10.50 საქ. არქივიდან "ძველი ჰანგები" 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი **"როცა აყვავდა ნუში"** 13.30 ქართ. მულტფილმები 14.00 დრო და ტრადიციები 14.30 კარაბადინი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 16.35 აქტუალური თემა 16.50 სღვთისმეტყველო საუბრები 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი **"დღე უკანასკნელი, დღე პირველი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 21.45 დრო და ადამიანები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ. ფილმი **"ჰამლეტი"** მე-2ნ.

# ბრიუს უილისი უოსკარობით ტრაგედიას არ ქმნის

**უოლტერ ბრიუს უილისი – ცნობილი ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი, მუსიკოსი. ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი. მისი ცნობილი ფილმებია „კერკეტი კაკალი" (1988), „არმაგედონი" (1998), „მეხუთე ელემენტი" (1997) და სხვა.**

ბრიუს უილისი დაიბადა იდარ-ობერშტაინში (დასავლეთი გერმანია) ამერიკელისა და გერმანელის ოჯახში. მისი მამა, დევიდ უილისი, თავისუფალი დაქირავებული მოსამსახურე იყო ამერიკის სამხედრო ნაწილში. მალევე ოჯახი ისევ ამერიკაში დაბრუნდა და ბრიუსი გაიზარდა ნიუ ჯერსის შტატ ქალაქ პენსგროუვში. ოჯახში ოთხი შვილიდან ყველაზე უფროსი, ბრიუსი, წარმატებით სწავლობდა კოლეჯ „მონტკლერში".

მიუხედავად ენაბლუობისა, ბრიუს უილისმა რვა წლის ასაკიდან დაიწყო სამოყვარულო დრამატულ სტუდიაში მეცადინეობას. მოსინჯა სიმღერაც – ბლუზის ანსამბლ „ლუს გუზში" ის აკომპანირებას თავის თავს ტუჩის გარმონით უწევდა. თამაშობდა სტუდენტურ თეატრალურ კოლექტივში, ხოლო შემდეგ – არაბროდვეის სცენაზე ნიუ ორკში, რის გამოც 1977 წელს, 22 წლის ასაკში კოლეჯში სწავლას თავი დაანება.

თავდაპირველად ყველა მისი მცდელობა, მიეღო როლი კინოში, სცენაზე, ტელევიზიაში, უშედეგოდ მთავრდებოდა. საღამოობით ბრიუს უილისი დარდს სასმელით იქარვებდა.

ბრიუს უილისმა თავიდანვე მიზნად დაისახა, გამხდარიყო მსახიობი და ამის გამო უდიდესი შეუპოვრობა გამოავლინა, მაგრამ მისი ძალისხმევა შოუ-ბიზნესის კორიფეების მიერ სათანადოდ არ იყო შეფასებული. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უილისის ტალანტი შეაფასეს არა თეატრალურ სცენაზე, არამედ ნიუ იორკის პოპულარულ ბარში „კაფე სენტალი", სადაც დროს ატარებდა მსახიობთა ბოჰემა. ბარში მუშაობა ერწყმოდა მის შეუპოვარ მცდელობებს, დაეახლოვებინა „ვარსკვლავური საათი" თეატრსა და კინოში. ბრიუს უილისს მოუხდა შეესრულებინა არაფრისმთქმელი როლები დაბალი კატეგორიის ფილმებსა და რეკლამებში. პირველი როლი კამერის წინ მან ითამაშა ჯინსის რეკლამაში.

1984 წელს, სემ შეპარდის პიესის არაბროდვეის სცენურ ვერსიაში „შეყვარებული ბრიყვი" წარმატებულად შესრულებული მთავარი როლის შემდეგ მასზე დაიწერა პირველი დადებითი შეფასებები და, როგორც იქნა, ლოს-ანჟელესში სინჯებზე მიიწვიეს. ბრიუსი კმაყოფილი იყო იმით, რომ მოხვდა ლოს-ანჟელესში და მიეცა ოლიმპიადის ნახვის შესაძლებლობა, რომელიც უფრო ძალიან აინტერესებდა, ვიდრე შემოთავაზებული უინტერესო როლი, რომელზეც არც კი დაამტკიცეს. შემთხვევით, ნიუ იორკში დაბრუნებამდე ერთი დღით ადრე ბრიუს უილისი შეიყვანეს სტუდიაში სერიალ „მთვარის შუქის" სინჯებზე და...

ამის შემდეგ იწყება ისტორია დიდებისა. საერთოდ, უცნობი ნიუიორკელი მსახიობი ისე მოეწონათ პროდიუსერებს, რომ ეპიზოდური როლის მაგივრად თვით სიბილა შეპარდის პარტნიორად აიყვანეს. მუშაობის პირველი თვეებიდან სერიალში ბრიუს უილისი გახდა საოცრად პოპულარული, ხოლო ჟურნალისტები ჭორაობდნენ მის და სიბილას ეკრანს მიღმა რომანზე. პრესა უკვე გაძლიერებულ ინტერესს იჩენდა უილისის მიმართ. ბრიუსმა დაახლოებით ამ პერიოდში, 1987 წელს გაიცნო დამწყები მსახიობი, დემი მური, რომელსაც მაშინ ძირითადად ილებდნენ ისეთ გამსვლელ ფილმებში, როგორებიცაა „პარაზიტი", „შეყვარებული ახალგაზრდა ექიმები", „გასული ღამის შესახებ"... და ასევე ფილმში „წმინდა ელმას ცეცხლი", რომლითაც მიიქცია კრიტიკოსების ყურადღება. უილისის ურთიერთობა დემი მურთან მღელვარედ ვითარდებოდა. ბრიუსს უყვარდა სმა, დემიც ალკოჰოლიკი იყო და ამის გამო კლინიკაშიც კი მკურნალობდა. მალე ისინი დაქორწინდნენ.



სერიალმა „მთვარის შუქმა", რომელიც ამერიკის ტელეეკრანებზე 1985–1989 წლებში გადიოდა, უილისი გახადა არა მარტო პოპულარული შემსრულებელი, არამედ, მამაკაცის იდეალი 80-იანი წლების მეორე ნახევარში. კრიტიკოსების აზრით, მაყურებლებს აინტერესებდათ, ბოლოს და ბოლოს, გახდებოდნენ თუ არა დავიდი და მედი (ედისონის პარტნიორი დანაშაულის გამოძიებაში, რომელსაც ასრულებდა სიბილა შეპარდი) საყვარლები, სწორედ ეს იყო მთელი სიუჟეტის ძარღვი. „მთვარის შუქი" „ემის" პრემიაზე 16 კატეგორიაში იყო წარდგენილი, მათ შორის, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, რომელიც ჩვენს გმირს მიენიჭა.

ამ პრემიით დაჯილდოებული, შემოქმედებითი ძალებით სავსე და თავის თავში დარწმუნებული ბრიუსის დებიუტი შედგა 1987 წელს „პირველი რიგის" ჰოლივუდურ ფილმში, რეჟისორ ბ. ედვარდსის კომედიაში „ბრმა პაემანი". დებიუტი მხოლოდ ათი წლის ძებნის შემდეგ აღიარეს წარმატებულად. 1988 წელს ნიუიორკელი პოლიციელის ჯონ მაკლეინის როლმა ფილმში „კერკეტი კაკალი", აჩვენა თუ რა საუკეთესოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოპულარული სახე.

გაუთვალისწინებელი სიტუაციის დროს დამნაშავეები აღწევენ ცათამბჯენში, სადაც მაკლეინი უნდა შეხვდეს ცოლს, ბრიუს უილისის გმირი ახდენს სასწაულებს ბოროტმოქმედთა ბანდასთან ბრძოლაში. ფილმ „კერკეტი კაკლის" კომერციულმა წარმატებამ საშუალება მისცა უილისს, გაეგრძელებინა თავისი გმირის ეკრანული ბიოგრაფია მის გაგრძელებაში – „კერკეტი კაკალი 2" (1990) და „კერკეტი კაკალი 3" (1995), ხოლო 2007 წელს გამოვიდა „კერკეტი კაკალი 4". იმ დროს, როცა მაყურებელი უილისს აღიქვამდა ამ ფილმის გმირად, მსახიობმა ითამაშა სხვა როლებიც. ცნობილი რეჟისორის ნორმან ჯუისონის ფილმში „ქალაქგარეთ" (1989) ის შეეცადა წარმოეჩინა ვიეტნამის ომის ვეტერანის ღრმა ფსიქოლოგიური სახე, ხოლო ფილმში „ამბიციის კოცონი" (1990) – პოპულარული გაზეთის რეპორტიორი, მაგრამ უილისის ტალანტის თაყვანისმცემლებს მაინც სურთ, რომ ის ნახონ უფრო ექსტრავაგანტურ სიტუაციებში. მაგალითად, დელტაპლანით ფრენის დროს დუბლიორისა და კომბინირებული გადაღებების გარეშე ფილმში „ჰადსონ ჰოუკი" (1991). ის თამაშობს ასევე კომიკურ როლებს რეჟისორ რ. ზემეკისის ფანტასტიკურ კომედიაში „მას სიკვდილი უხდება" (1992), სადაც იყო ცნობილი მსახიობის მერილ სტრიპის პარტნიორი.

მსახიობი არ ივიწყებს თავის გატაცებას მუსიკისადმი – ფილმში „უყურე, კიდევ ვინ ლაპარაკობს" (1990) ბრიუსი მღერის თავისივე დაწერილ სიმღერას, ხოლო მისი ფირფიტა „ბრიუს უილისი: ბრუნოს დაბრუნება" გამოვიდა 1987 წელს.

თვით მსახიობის თქმით, ის არ თვლის თავის პირად ცხოვრებას ფართო განხილვის საგნად. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მის ფეშენებელურ სახლს ჰოლივუდში გარშემო არტყია ექვსფუტიანი სიმაღლის კედელი. თუმცა, პრესა ხელიდან არ უშვებს ყოველ ახალ მოვლენას მისი „ეკრანსმიღმა" ცხოვრებიდან.

ბრიუს უილისი თავის კერპებად და მისაბაძ მაგალითებად მიიჩნევს ისეთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მსახიობებს, როგორებიც არიან რობერტ დე ნირო, რობერტ დიუვალი, ალ პაჩინო, კერი გრანტი, ბობ ჰოუპი, რობერტ მიტჩელი და სტივ მაკქუინი. უილისის ყველა სახელგანთქმულ კოლეგებს აქვთ მიღებული მრავალი პრემია და ჯილდო, ხოლო მას არაფერი გააჩნია, გარდა მაყურებლის სიყვარულისა. 1994 წელს ის არ წარადგინეს „ოსკარზე" ფილმისათვის „მაკულატურა", მაშინ როცა ბრიუსის ყველა პარტნიორი დასახელებული იყო ნომინანტად. ასევე მოხდა 1995 წელსაც – აკადემიამ გვერდი აუარა მის ბრწყინვალე ნამუშევარს ფილმში „თორმეტი მაიმუნი", სამაგიეროდ დააჯილდოვა ახალი ვარსკვლავი ბრედ პიტი.

ბრიუს უილისი, საბედნიეროდ, მხიარული ადამიანია და ამისაგან არ ქმნის ტრაგედიას. ეს არ ახდენს გავლენას არც მის მატერიალურ მდგომარეობაზე. ის არის ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი ჰოლივუდის მსახიობი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.


**სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო უდიდეს ქართველ რეჟისორს, ბატონ**

**რეზო ჩხეიძეს**

**დაბადებიდან 85 წლისთავს ულოცავს.**

**ბატონი რეზოს შემოქმედება, რომელიც მთელ მსოფლიოშია აღიარებული, დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. რეზო ჩხეიძე არის ადამიანი, რომელიც ხელოვნებასთან ერთად მთელი ცხოვრების განმავლობაში სამშობლოს ემსახურება.**

**სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო უსურვებს ბატონ რეზოს ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს.**

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" მთავარი საბჭო ულოცავს დიდ ქართველ რეჟისორს და შემოქმედს, ბატონ

**რეზო ჩხეიძეს**

დაბადების 85 წლისთავს.

ბატონი რეზოს შემოქმედება, რომელზეც მრავალი თაობაა გაზრდილი, დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მისი ფილმების მთავარი ლაიტმოტივი კაცთმოყვარეობა და სამშობლოს სიყვარულია, რის მაგალითსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში დიდი რეჟისორი თავად გვიჩვენებდა. რეზო ჩხეიძის ჯარისკაცის მამა, ღიმილის ბიჭები, ნერგები და სხვა შედევრები აღიარებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო" დღეგრძელობას, სიმხნევეს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს ბატონ რეზო ჩხეიძეს.

## კროსვორდი ბ




***შვეულად:*** 1. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 2. ძმარში ჩადებული ღორის მოხარშული ფეხებისგან მომზადებული კერძი; 3. იტალიური რესტორანი; 4. მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 6. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 7. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. მეფის სიგელი; 13. ველორიქშა ინდოეთში; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 18. უქოჩრო, მოლაპარაკე თუთიყუში.

***თარაზულად:*** 1. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 3. ზოგი მცენარის მიწისქვეშა, გამსხვილებული ფესვი; 8. ბუდისტთა სამლოცველო ჩინეთსა და იაპონიაში; 10. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 12. უბანი ძველ თბილისში; 14. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 15. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 16. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 19. კოლუმბიის დედაქალაქი; 20. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 21. ფულის ერთეული ავსტრალიაში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

***შვეულად:*** 1. მაკაგონი; 2. ოფიცერი; 3. სიმდი; 4. ერქვანი; 5. ვენგერი; 10. ქოლერიკი; 11. თაყაიშვილი; 12. ინიესტა; 15. პანიტერია; 16. უნიათო; 17. ჩაფხუტი; 20. მეგრე.

***თარაზულად:*** 6. რატიფიკაცია; 7. დროზერა; 8. კლინიკა; 9. სოკერი; 13. ფინო; 14. კამენა; 18. პერინიონი; 19. ცაიში; 21. პეპსი; 22. პოლისი; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

**კროსვორდი ბ**

***შვეულად:*** 1. ფელდიგიური; 2. რუდაქი; 3. პრელატი; 4. ფოლგა; 5. ბისმარკი; 6. ცაიში; 7. ბიშკეკი; 9. ბულონი; 13. თეთრა; 17. გემა; 18. ირი.

***თარაზულად:*** 1. ფოსფორი; 3. პარაფი; 8. პიკაპი. 10. ბაკალეა; 11. გიული; 12. გალუაზი; 14. ნიანგი; 15. ფრიზერი; 16. კეგლი; 19. ჭოროხი; 20. გირკანი; 21. ზეკარი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

**10 დეკემბერი**


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613
ევრო —2,2702
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7–10, ღამით — 1–3
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა, დღისით — 11–14, ღამით — 5–7
**სამხარეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით — 0–6, ღამით — -11 -1

## ამინდის პროგნოზი 10 დეკემბრისთვის








# მალე! მალე! მალე!

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

# „ახალგაზრდა სტალინი“

საიმონ სებაგ მონტეფიორე


## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 10 დეკემბერი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, შეცდომა ხელს არ გაძლევთ. **ლომი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **ქალწული** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ. **სასწორი** – ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთ. **ღრიანკალი** – ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ, ასე ჯობია. **მშვილდოსანი** – კარგად დაფიქრდით და გადაწყვეტილება მერე მიიღეთ. **თხის რქა** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **მერწყული** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არასოდეს გიღალატებთ.

### 11 დეკემბერი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, მოსალოდნელია სხვა სიახლე. **ლომი** — წარმატებული დღეა. ახალ ბიზნესს წამოიწყებთ. **ქალწული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ. **სასწორი** — გზიდან ფულს და ახალ ამბავს მიიღებთ, გახარებული ხართ. **ღრიანკალი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დღეს ნუ გადაიტვირთებით. **მშვილდოსანი** — ჰარმონიული დღეა. შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მერწყული** — პოზიტიური დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **თევზები** — მეგობრების წრეში კარგად გაერთობით. ეს დღე დაგამახსოვრდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## შენგელია საუკეთესო ევროპელისთვის იბრძვის



თორნიკე შენგელიას მორიგი აღიარება – ფიბა-ევროპამ 20 წლის ქართველი წლის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში ჩართო. ფიბა-ევროპის ვებ-გვერდზე მიმდინარეობს გამოკითხვა, სადაც შენგელია კონტინენტის ყველაზე წარმატებული კალათბურთელების გვერდითაა და მისთვის მხარდაჭერა ნებისმიერ ქომაგს შეუძლია. ქართველ გულშემატკივრებს და არა მარტო მათ, შენგელიას ბევრი ქომაგი ჰყავს ბელგიაშიც, საშუალება ეძლევათ, შევიდნენ შემდეგ ვებ-გვერდზე და მხარი დაუჭირონ თორნიკე შენგელიას.

– თორნიკე შენგელია 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში აშკარად გამორჩეული გახლდათ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ჩემპიონობაში დიდი წვლილი დაიდო, აღნიშნულის შემდეგ კი ლიტვაში გამართულ ევრობასკეტზეც ბევრი გააოცა. მიუხედავად იმისა, რომ მას თამაში ფარისგან მოშორებით უწევდა, მძიმე ფორვარდი მოხსნებში შეუდარებელი გახლდათ და არც ფიზიკურ ორთაბრძოლებს ერიდებოდა, – წერია ვებ-გვერდზე.

თორნიკეს გარდა, წლის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელის ტიტულისთვის ალეხანდრო აბრინესი (ესპანეთი, უნიკახა), ალექსანდრ ცვეტკოვიჩი (სერბეთი, ცრვენა ზვეზდა), ალესანდრო ჯენტილე (იტალია, ბენეტონი), დარიო სარიჩი (ხორვატია, ზაგრები), დმიტრი კულაგინი (რუსეთი, ტრიუმფი), ენეს კანტერი (თურქეთი, იუტა ჯაზი), იონას ვალანჩიუნასი (ლიტვა, ლიეტუვას რიტასი), ნიკოლა მიროტიჩი (ესპანეთი, რეალი) და პრჟემისლავ კარნოვსკი (პოლონეთი, ტარნობრჟეგი) იბრძვიან.

## კროსვორდი



*შვეულად*: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 3. საჭმელი სოკო; 4. უეშმაკო, გულუბრყვილო ადამიანი; 5. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სოფელი საქართველოში; 10. მცირე ამპლიტუდის რხევები; 11. აშშ-ის პირველი პრეზიდენტი; 12. ლიბანის დედაქალაქი; 15. ძროხის ხორცის დაბეგვილი და შემწვარი ნაჭერი; 16. მდინარე კიევში; 17. რიცხვებითა და ასოებით გამოსახული მათემატიკური ნიშნებით შეერთებული სიდიდეების ერთობლიობა; 20. უნგრული ღვინო.

*თარაზულად*: 6. საცეკვაო ხელოვნება; 7. ხეხილის ბაღი; 8. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 9. ფრანგი მწერალი, ნოველისტი; 13. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება აშშ-ში, ინგლისში; 18. გასართობი თავსატეხი; 19. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 21. ლუდის სასმელი ჭიქა; 22. მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე; 22. თბილისელი გიტარისტი, მომღერალი, პოეტი მამაკაცი; 24. დიდი სახაზავი, შიმშა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## იუმორი



* * *

– ახალი ამბავი გაიგე?
– რა მოხდა?
– ხელფასებს ამცირებენო.
– ჰო... რა წყალში უნდა გადავარდე. ისღა დაგვრჩენია, პანელზე გავიდეთ.
– ვიკითხე და იქაც იგივე ამბავია...

* * *

მშობლებმა ბავშვი ზოოპარკში პირველად მიიყვანეს. პატარა წეროს გალიასთან გაჩერდა და აღტაცებულმა ხტუნვა და ხელების ქნევა დაიწყო. შემდეგ იმედგაცრუებული მშობლებს დაუბრუნდა და ეუბნება:
– მგონი, ვერ მიცნო...

* * *

სამშობიაროში.
– ღმერთო ჩემო, ტყუპი ბიჭი შემეძინა!
– არა, ჯერჯერობით ერთია, – ამშვიდებს მას მედდა, – მომავალში კი სამშობიაროში ფხიზელი მოდით ხოლმე...

– სექს-შოპის გამყიდველთან კამათის დროს განაწყენებულმა მყიდველმა მაღაზიის მთელი ასორტიმენტი ჩამოთვალა...

* * *

— რამდენი კეთილი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება იარაღის მუქარით...

— ადრე, გოგონებს რომ რცხვენოდათ, წითლდებოდნენ, ახლა, რომ წითლდებიან, რცხვენიათ...